4 კოალიცია ცვლილებისთვის

საქართველოს 2024 წლის საპარლამენტო არჩევნების ანალიზი

ახალი გირჩი მეტი თავისუფლება ერთა!

დოკუმენტის მიზანი

ყველა ხელმისაწვდომი ადგილობრივი თუ საერთაშორისო წყაროებისა და მონაცემების ვრცელი მიმოხილვისა და კრიტიკული ანალიზის საფუძველზე, წინამდებარე დოკუმენტი მიზნად ისახავს შემდეგს:

- თავი მოუყაროს საქართველოში 26 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების ყველა ხელმისაწვდომ ანალიტიკურ თუ შეფასებითი ხასიათის ინფორმაციას.
- არსებული მონაცემების საფუძველზე წარმოადგინოს საპარლამენტო არჩევნების სისტემური შეფასება გაყალბებისა და ფალსიფიცირების თვალსაზრისით.
- დაასაბუთოს და განმარტოს:
    I. გაყალბდა თუ არა, და რა მასშტაბით გაყალბდა არჩევნები
    II. რა მეთოდები იქნა გამოყენებული ამ მიზნით
- წარმოადგინოს ქვეყანაში სტაბილურობის აღდგენისა და პოლიტიკური კრიზისის შემდგომი ესკალაციის თავიდან ასაცილებლად აუცილებელი შემდეგი ნაბიჯები.

მიმოხილული შეფასებები, მონაცემები და ანალიზი

2024 წლის 26 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების პროცესისა და შედეგების ანალიზის მიზნით წინამდებარე დოკუმენტი ეყრდნობა შემდეგი წყაროების დეტალურ მიმოხილვას:

- არჩევნების შეფასება სანდო რეპუტაციის მქონე ყველა საერთაშორისო და ქართული ორგანიზაციებისა და დამკვირვებლების მიერ.
- არჩევნების შედეგების ანალიზი საერთაშორისოდ აღიარებული საარჩევნო მეთოდოლოგიის მიხედვით.
- ამომრჩეველთა სტატისტიკური მონაცემებისა და ხმის მიცემის შედეგების ანალიზი.
- საქართველოს სასამართლოებში და ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში შეტანილი სარჩელებისა და საჩივრების დეტალური ანალიზი.
- ეგზიტპოლების და კვლევების დეტალური მიმოხილვა და მათი შეუსაბამობა არჩევნების შედეგებთან.
- საერთაშორისო პარტნიორების, პოლიტიკოსებისა და ანალიტიკოსების გამოხმაურებები არჩევნების შედეგებთან დაკავშირებით.
- მედია ანგარიშები.
- ანალიტიკური სტატიები.

დასკვნები და ანალიზის შედეგები

დეტალური განხილვისა და ანალიზის საფუძველზე დოკუმენტში გამოტანილია შემდეგი დასკვნები:

- საქართველოში ჩატარებული არჩევნები არ ყოფილა კვალიფიცირებული როგორც „თავისუფალი და სამართლიანი“ **არცერთი ავტორიტეტული საერთაშორისო და ადგილობრივი ორგანიზაციისა და საქართველოს საერთაშორისო პარტნიორის მიერ**.
- არსებობს **მყარი და დასაბუთებული მტკიცებულებები** არჩევნების გაყალბების შესახებ.
- **არჩევნების გაყალბებას ჰქონდა სისტემური ხასიათი**, რაც ამომრჩეველს ნების თავისუფლად გამოხატვის საშუალებას არ აძლევდა.
- საარჩევნო მანიპულაციები იმდენად ფართო მასშტაბით გამოიყენებოდა, რომ ამან **არსებითი გავლენა მოახდინა არჩევნების შედეგებზე**.
- პარალელურად გამოიყენებოდა არჩევნების გაყალბების **მრავალი მეთოდი**.
- გონივრულია არჩევნების პროცესში **რუსეთის ჩარევაზე** ეჭვის არსებობა.

არჩევნების გაყალბებისა და ძალადობის სქემები შემუშავდა და ორგანიზებული იყო ადმინისტრაციული რესურსების - ფინანსური, ადამიანური და ტექნიკური - გამოყენებით

დასკვნები და ანალიზის შედეგები

დეტალური განხილვისა და ანალიზის საფუძველზე დოკუმენტში გამოტანილია შემდეგი დასკვნები:

- გამოვლინდა **მნიშვნელოვანი სტატისტიკური შეუსაბამობები**, მათ შორის, ამომრჩეველთა აქტივობას, ხმის მიცემის არჩევანსა და არჩევნების შედეგებს შორის, რაც მმართველი პარტიის მიერ არჩევნებზე მანიპულირებაზე მიუთითებს.
- სიმართლის დასადგენად და არსებული პოლიტიკური კრიზისის გადასაჭრელად **აუცილებელია არჩევნების გაყალბების გამოძიება**.
- **საქართველოში არჩევნების სავარაუდო გაყალბების მიუკერძოებელი გამოძიება შეუძლებელია**, რადგან ყველა სამთავრობო ინსტიტუტი და სასამართლო სრულად კონტროლდება მმართველი პარტია „ქართული ოცნების“ მიერ.
- არსებული მონაცემები და გაყალბების მტკიცებულებები მყარ საფუძველს ქმნის **საერთაშორისო, მიუკერძოებელი და დამოუკიდებელი გამოძიებისთვის**, რათა დადგინდეს - გაყალბდა თუ არა, როგორ და რა მასშტაბით გაყალბდა არჩევნები საქართველოში.

არჩევნების გაყალბებისა და ძალადობის სქემები შემუშავდა და ორგანიზებული იყო ადმინისტრაციული რესურსების - ფინანსური, ადამიანური და ტექნიკური - გამოყენებით

ეგზიტპოლების და არჩევნების შედეგების შედარება

ძირითადი მიგნებების შეჯამება

- **მნიშვნელოვანი შეუსაბამობა** არსებობს ორი ავტორიტეტული ამერიკული კომპანიის მიერ ჩატარებულ ეგზიტპოლებსა და ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ გამოქვეყნებულ არჩევნების შედეგებს შორის, რაც **აჩენს საფუძვლიან ეჭვებს იმის შესახებ, თუ რამდენად თავისუფალად და სამართლიანად ჩატარდა არჩევნები**.
- Edison Research-ის შემთხვევაში შეუსაბამობა არის **13%**, ხოლო HarrisX-ის შემთხვევაში - **12%**. კომპანიების აზრით, **ასეთი შეუსაბამობა სტატისტიკურად შეუძლებელია და მხოლოდ სტანდარტული გადახრით ვერ აიხსნება.**
- HarrisX-ის მიერ ჩატარებული არჩევნების შემდგომი აუდიტის მიხედვით, „ქვეყნის მასშტაბით, შეუსაბამობა მთლიანი ხმების **8%-ზე მეტს, ანუ 172,523 ხმას შეადგენს, რაც არ იხსნება სტატისტიკური გადახრით და ამდენად საარჩევნო ხმებით მანიპულირებაზე მიუთითებს**“.

ეგზიტპოლების შედეგები

დიდი შეუსაბამობა 2024 წლის საპარლამენტო არჩევნების გამოცხადებულ შედეგებსა და ეგზიტპოლებს შორის

- ორმა ავტორიტეტულმა ამერიკულმა კომპანიამ, Edison Research-მა და HarrysX-მა, ჩაატარა ეგზიტპოლი 2024 წლის არჩევნების დროს და ორივე შემთხვევაში მნიშვნელოვანი შეუსაბამობა გამოვლინდა ეგზიტპოლების შედეგებსა და ცენტრალური საარჩევნო კომისიის (ცესკო) მიერ გამოქვეყნებულ ოფიციალურ შედეგებს შორის.



- **შეუსაბამობა Edison Research-ისა და ცესკოს შედეგებს შორის 13%-ს შეადგენს.**
- Edison Research-ის განცხადებით **"13-პროცენტიანი განსხვავება Edison-ისა და ქართული ოცნების სასარგებლოდ ოფიციალურად გამოცხადებულ 54%-ს შორის მხოლოდ სტანდარტული გადახრით ვერ აიხსნება და ადგილობრივ დონეზე ხმებით მანიპულირების ვარაუდს ბადებს."**

Source: Edison Research

- **შეუსაბამობა HarrisX-ისა და ცესკოს შედეგებს შორის 12%-ს შეადგენს.**
- **HarrysX-ის განცხადებით ასეთი განსხვავება "სტატისტიკურად შეუძლებელია, იმ შემთხვევაშიც კი, თუ ეგზიტპოლების მონაცემები დაკორექტირდება ცესკოს მიერ გამოქვეყნებული სრული მონაცემების პარამეტრების შესაბამისად."**

*Source:, HarrisX

***HarrisX** - a leading public opinion research, data analytics, and strategy consulting company in the United States, the most accurate pollster of the 2020 U.S. presidential election as rated by the Washington Post*

HarrisX და Edison Research მიერ არჩევნების შემდგომი ეგზიტპოლების ანალიზი

ორივე კომპანიის - HarrisX და Edison Research - მიერ ჩატარებული არჩევნების შემდგომი ეგზიტპოლების ანალიზით ვლინდება მნიშვნელოვანი სტატისტიკური შეუსაბამობები, რომელთა ახსნაც შეუძლებელია სტატისტიკური გადახრით, რაც არჩევნების დარღვევებზე მიუთითებს

- არჩევნების დღეს HarrysX-მა გამოკითხა **12,007 ამომრჩეველი (ცდომილების ზღვარი +/- 0,9%).** იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოში არჩევნებში საშუალოდ 1,9 მილიონი ამომრჩეველი მონაწილეობს, HarrysX აცხადებს, რომ შერჩევის ეს ზომა საკმარისად დიდია და არსებითად ზრდის გამოკითხვის შედეგების სიზუსტეს. გასათვალისწინებელია, რომ აშშ-ში, სადაც მოსახლეობა 100-ჯერ აღემატება საქართველოს, ეგზიტპოლები, როგორც წესი, **15,000 ამომრჩეველს** მოიცავს.

- HarrysX-ის თანახმად, „თავად ცესკო-ს მონაცემებსა და HarrysX-ის ეგზიტპოლის შედეგებზე დაყრდნობით, თითქმის აბსოლუტური სიზუსტით დგინდება, რომ **ქართული ოცნების ხმების ფაქტობრივი წილი 44.4%-ს არ აღემატება და სავარაუდოდ უფრო დაბალიცაა“**. 44.4%-ით, ქართულ ოცნებას „დაახლოებით 911,000 ხმა უნდა მიეღო; ცესკოს მიერ დასახელებულ 1,119,908 ხმასთან შედარებით, **განსხვავება დაახლოებით 200,000 ხმას შეადგენს**“

- „ქვეყნის მასშტაბით შეუსაბამობა მთლიანი ხმების **8%-ზე მეტს შეადგენს**, ანუ 172,523 ხმას, **რაც შეუძლებელია აიხსნას სტატისტიკური გადახრით**, და რაც ხმის მიცემის შესაძლო დარღვევებზე მიუთითებს“ (ჯამური შეუსაბამობა 12%-ს უდრის).

- HarrisX-მა გამოავლინა „მნიშვნელოვანი შეუსაბამობები ეგზიტპოლსა და ცესკოს შედეგებს შორის **27 საარჩევნო ოლქზე** (საქართველოში არსებული 73 ოლქიდან, საზღვარგარეთის საარჩევნო უბნების გამოკლებით)“.

- HarrysX-ის განცხადებით, „მარნეულის ოლქში „ქართულმა ოცნებამ“ 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებში ხმების 48% მოიპოვა. Harris X-ის ეგზიტპოლის მიხედვით, 2024 წლის არჩევნებზე „ქართულმა ოცნებამ“ მარნეულში ხმების 40% მიიღო, ხოლო ცესკო-ს ცნობით - 80%. HarrisX-ის ეგზიტპოლის მონაცემებსა და მარნეულის ცენტრალური საარჩევნო კომისიის ოფიციალურ მონაცემებს შორის **40%-იანი გადახრა წარმოუდგენელი და შეუძლებელია“**.

- „მაშინაც კი, როდესაც ეგზიტპოლის მონაცემები კორექტირდება ცესკოს მიერ გამოქვეყნებული სრული მონაცემების პარამეტრების მიხედვით, არჩევნების საბოლოო შედეგი, რაც „ქართული ოცნების“ სასარგებლოდ **53,96%-ს შეადგენს, სტატისტიკურად შეუძლებელია**.”

- HarrisX მოუწოდებს ცესკოს, მიაწოდოს დამატებითი ინფორმაცია და განმარტებები გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად.

Source: HarrisX

HarrisX და Edison Research მიერ არჩევნების შემდგომი ეგზიტპოლების ანალიზი

ორივე კომპანიის - HarrisX და Edison Research - მიერ ჩატარებული არჩევნების შემდგომი ეგზიტპოლების ანალიზით ვლინდება მნიშვნელოვანი სტატისტიკური შეუსაბამობები, რომელთა ახსნაც შეუძლებელია სტატისტიკური გადახრით, რაც არჩევნების დარღვევებზე მიუთითებს

- „Edison-ის შეფასებით დგინდება, რომ **სტატისტიკურად მოსალოდნელი შედეგებისგან გადახრა ქვეყნის მასშტაბით ფართოდ იყო გავრცელებული**, მაგრამ ყველაზე მეტად სოფლად მდებარე უბნებზე გამოიხატება“.

- „2023-24 წლებში Edison-მა ჩაატარა 12 ეროვნული წარმომადგენლობითი კვლევა საქართველოში. ამ გამოკითხვებმა აჩვენა, რომ „ქართული ოცნება“ 2020 წლის არჩევნების შედეგებს დაახლოებით **10 ქულით ჩამოუვარდება**. ამის ნაცვლად კი, „ქართული ოცნების“ 2024 წლის შედეგებმა 2020 წლის მაჩვენებელს **6 პუნქტით გადააჭარბა**“. „2024 წელს საქართველოში გამოყენებული ეგზიტპოლის მოდელები იგივეა, რაც საქართველოს წინა არჩევნებში და ამავე მოდელების გამოყენებას გეგმავს Edison Research აშშ-ს მომავალ ეგზიტპოლებში **ABC, CBS, CNN და NBC-სთვის**“.

- Edison Research-ის მიერ ჩატარებულ ეგზიტპოლებსა და ცესკოს ოფიციალურ შედეგებს შორის წლების განმავლობაში საშუალოდ **2%-იანი სხვაობა ფიქსირდებოდა**, ხოლო 26 ოქტომბერს სხვაობამ **12-13% შეადგინა**.

- „Edison-ის არჩევნების დღის პროცესი ასევე მოიცავს მონაცემების ხარისხის შემოწმებას ხმის მიცემის უბნების მიხედვით, რომ ნებისმიერი საეჭვო ან შეცდომითი მონაცემი, რომელიც ეგზიტპოლის შედეგების სიზუსტეს ეჭვის ქვეშ დააყენებს, გასწორდეს ან გამოირიცხოს. ასეთი მონაცემების არსებობა შეიძლება იყოს საარჩევნო ადმინისტრაციის წარმომადგენლის ჩარევის, ინტერვიუერის შეცდომის, უამინდობის ან მტკიცებულებების გაყალბების შედეგი“

Source: Edison Research

HarrisX-ის მიერ არჩევნების შემდგომი ანალიზი

- სტატისტიკური გადახრა ამ **27** ოლქში შემოწმდა სანდოობის 95%-იანი ინტერვალით, რამაც გამოავლინა, რომ ასეთი გადახრა **წარმოუდგენელი და შეუძლებელია**.

- საშუალო გადახრა 27 იდენტიფიცირებულ ოლქში არის 15%, ანუ სულ მცირე 172,523 ნედლი ხმის ჯამი, რაც შეადგენს ამომრჩეველთა მთლიანი აქტივობის 8%-ზე მეტს (2.06 მილიონიდან).

- Harris X-ის თანახმად, **შეუსაბამობები არ შემოიფარგლება მხოლოდ 27 ოლქით.**

Region	District	GD Vote 2020 (ElectionsData.ge/data)	GD Vote 2024 (Election Administration of Georgia)	GD Vote 2024 (HarrisX)	VARIANCE: GD Vote 2024 (Election Administration of Georgia) vs. GD Vote 2024 (HarrisX)	GD Vote 2020 (ElectionsData.ge/data)	GD Vote 2024 (Election Administration of Georgia)	GD Vote 2024 (HarrisX Estimates)	VARIANCE: GD Vote 2024 (Election Administration of Georgia) vs. GD Vote 2024 (HarrisX)
Tbilisi	01.Mtatsminda	43%	42%	30%	+12%	13,003	14,699	10,586	+4,113
	02.Vake	41%	38%	28%	+10%	25,237	28,997	21,022	+7,975
	03.Saburtalo	41%	39%	27%	+13%	30,908	37,705	25,412	+12,293
	04.Krtsanisi	44%	49%	36%	+13%	9,086	11,002	8,073	+2,929
	05.Isani	42%	45%	33%	+12%	23,110	28,778	20,880	+7,898
	06.Samgori	42%	45%	34%	+11%	29,782	36,999	27,607	+9,391
	07.Chughureti	45%	44%	33%	+11%	14,188	17,941	13,519	+4,422
	08.Didube	44%	42%	30%	+12%	17,169	17,290	12,366	+4,924
	10.Gldani	39%	41%	32%	+8%	27,876	34,993	27,785	+7,208
Kakheti	11.Sagarejo	50%	66%	49%	+16%	11,442	16,313	12,244	+4,069
	12.Gurjaani	52%	62%	49%	+13%	16,935	20,094	15,806	+4,288
	13.Sighnaghi	53%	63%	37%	+25%	9,503	11,319	6,717	+4,602
	16.Kvareli	47%	57%	23%	+34%	8,459	9,851	3,966	+5,884
	18.Akhmeta	43%	56%	26%	+30%	7,017	8,778	4,087	+4,691
Kvenmo Kartli	22.Marneuli	48%	80%	40%	+40%	21,451	34,328	17,263	+17,065
	23.Bolnisi	68%	81%	55%	+26%	18,173	20,788	14,158	+6,631
	28.Dusheti	53%	59%	44%	+15%	7,338	8,889	6,636	+2,253
	32.Gori	52%	57%	42%	+14%	32,945	37,474	27,966	+9,508
	35.Khashuri	46%	52%	38%	+14%	12,572	14,800	10,810	+3,990
Samtskhe - Javakheti	40.Akhalkalaki	65%	88%	59%	+29%	12,270	18,187	12,132	+6,055
Imereti	54.Samtredia	54%	62%	36%	+26%	13,651	15,432	8,987	+6,445
	58.Tskaltubo	44%	58%	45%	+13%	12,205	16,624	12,853	+3,771
	59.Kutaisi	41%	47%	35%	+12%	29,219	38,095	28,363	+9,733
Samegrelo - Zemo Svaneti	67.Zugdidi	47%	51%	42%	+9%	25,110	27,789	23,113	+4,676
	68.Tsalenjikha	47%	48%	24%	+24%	6,700	7,200	3,599	+3,601
	70.Poti	50%	52%	32%	+20%	10,909	11,290	7,011	+4,279
Adjara	79.Batumi	42%	50%	39%	+11%	32,305	45,593	35,762	+9,830
Total	Total	**46%**	**51%**	**36%**	**+15%**	**478,563**	**591,247**	**418,724**	**+172,523**

Source: HarrisX

წინასაარჩევნო გამოკითხვები მიუთითებს, რომ ქართული ოცნების რეიტინგი ხმების დაახლოებით 40%-ს შეადგენს

- Rosner Research-ის გამოკითხვების მიხედვით, „ქართულ ოცნებას“ **საუკეთესო შემთხვევაში 40%-ის** მიღება შეეძლო.
- ექვსი კვლევის შედეგებით „ქართულმა ოცნებამ“ საშუალოდ ხმების **დაახლოებით 37% მიიღო**.
- Edison Research-ის 2024 წლის 1 ნოემბრის განცხადებით: „საქართველოში 2023-2024 წლებში მხოლოდ Edison Research-მა 12 ეროვნული წარმომადგენლობითი კვლევა ჩაატარა. ამ გამოკითხვებმა აჩვენა, რომ „ქართული ოცნების“ შედეგები **2020 წლისას დაახლოებით 10%-ით ჩამოუვარდება**. მოლოდინის საწინააღმდეგოდ, „ქართულმა ოცნებამ“ **2020 წლის შედეგებს 6%-ით გადააჭარბა**. ასეთი ანომალიური შედეგი **ხმების ფართო და სისტემურ მანიპულირებაზე მიუთითებს**“.

საჯარო და კერძო გამოკითხვები

აღსანიშნავია, რომ გორბი არის ადგილობრივი კომპანია, რომელიც „ქართულ ოცნებასთან“ ასოცირდება და არ შეიძლება იყოს აღქმული, როგორც ნეიტრალური და დამოუკიდებელი კომპანია.



არჩევნების გაყალბების სტატისტიკური მტკიცებულებები

მთავარი მიგნებების შეჯამება

- ექსპერტთა შეფასების მიხედვით, სტატისტიკური მოდელების მისადაგება 2024 წლის საპარლამენტო არჩევნების ამომრჩევლის განაწილებასთან გვიჩვენებს **გადახრებს ხმის მიცემის ნორმალური მოდელებისგან.**
- **ამ ანალიზში გამოყენებული მეთოდოლოგია** საერთაშორისო დონეზე ფართოდ გამოიყენება **იმის დასადგენად, თუ რამდენად თავისუფალი და სამართლიანია არჩევნები.**
- ამომრჩევლის ნორმალური განაწილების შემთხვევაში ხმის მიცემის აღმნიშვნელ მრუდს **ზარის ფორმა** აქვს. ამ მოდელისგან ნებისმიერ გადახრას **სჭირდება ახსნა.**
- საქართველოს 2024 წლის არჩევნების შემთხვევაში, გამოყენებული მოდელი **ურბანულ და რურალურ დასახლებებში განსხვავებულ მახასიათებლებს გვიჩვენებს.**
- ურბანულ დასახლებებში ხმის მიცემის შედეგების განაწილება **შედარებით სამართლიან არჩევნებზე მიანიშნებს, ხოლო რურალურ დასახლებებში - არა.**
- მეტიც, **რურალურ დასახლებებში:**
    - **მრუდის უჩვეულო ‘კუდი‘** - ე.წ. ,,რუსული კუდი” - **გაყალბებაზე მიგვანიშნებს** და ეს მახასიათებელი მიუთითებს, რომ **ბიულეტენები იყო ჩაყრილი ან არასწორად დათვლილი.**
    - ასობით მცირე და მსხვილ ლოკაციაზე **გამოცხადდა ამომრჩევლის თითქმის 100% და ქართულ ოცნებას ხმა მისცა თითქმის 100%-მა,** რაც **სამართლიან არჩევნებში პრაქტიკულად შეუძლებელია.**

** IRI report on 2020 election results*

მთავარი მიგნებების შეჯამება

- ISFED-ის მიხედვით, საარჩევნო უბნების მნიშვნელოვან ნაწილში **აქტივობის განსხვავება ქალ და მამაკაც ამომრჩევლებს შორის ამომრჩევლის ნორმალური განაწილებიდან დევიანტურია და ავლენს ისეთ მახასიათებლებს, რაც პრაქტიკულად შეუძლებელი და არაბუნებრივია.**
- **ზოგიერთ საარჩევნო უბანზე მამაკაც ამომრჩეველთა რაოდენობა იყო უბანზე რეგისტრირებულ მამაკაც ამომრჩეველზე მეტი. მნიშვნელოვანია, რომ ამგვარი ანომალია დაფიქსირდა ელექტრონულ საარჩევნო უბნებზეც, რაც ბადებს საფუძვლიან ეჭვს ხმის მიცემის ელექტრონულ აპარატებში გარე ჩარევასთან დაკავშირებით.**
- **საბოლოო ჯამში, 2024 წლის არჩევნებში მამაკაცთა მონაწილეობა ქალთა მონაწილეობაზე მაღალი იყო - 53% vs 47%, რაც უჩვეულოა. მაგალითისთვის, 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებში ამომრჩეველთა უფრო დიდი ნაწილი ქალი იყო (50.3% vs 49.7%*)**

** IRI report on 2020 election results*

ხმის მიცემის მახასიათებლები და განაწილება

- აღნიშნული მეთოდოლოგია არის საერთაშორისო დონეზე ერთ-ერთი ყველაზე ფართოდ გამოყენებული სტატისტიკური ინსტრუმენტი **იმის შესაფასებლად**, **თუ რამდენად თავისუფალი და სამართლიანი იყო არჩევნები.**
- **ხმის მიცემის შედეგები ზარისებრ მრუდს უნდა ასახავდეს,** რაც ნორმალურ განაწილებას აღნიშნავს.
- მრუდი ამ ფორმას იძენს, რადგან ამომრჩევლები აკეთებენ დამოუკიდებელ არჩევანს, რომელზეც გავლენას ახდენს არაერთი პირადი ფაქტორი. ეს ქმნის ბუნებრივ ცვლადობას, ცენტრში კი ექცევა უპირატესობათა/არჩევანის საშუალო მონაცემი. აქედან გამომდინარე, როდესაც ინდივიდუალურ გადაწყვეტილებებს ვუსადაგებთ მრავალრიცხოვან მოსახლეობას, **ვიღებთ ზარის ფორმის მრუდს**.
- **პოლონეთის მაგალითი გვიჩვენებს,** როგორ ესადაგება სამართლიანი არჩევნების შედეგები ნორმალურ განაწილებას.
- **ამ მახასიათებლისგან გადახრა საჭიროებს ახსნას.**

პოლონეთის მაგალითი



Source: LevanKvirkvelia, RomanUdot, Jed Burkat

ხმის მიცემის მახასიათებლები და განაწილება

- საქართველოს მაგალითი ასახულია ორი გრაფიკით, რომლებიც ერთმანეთს ადარებს რურალურ და ურბანულ დასახლებებს.
- **ურბანულ დასახლებებში** ხმის მიცემის შედეგები ძირითადად საშუალოს მსგავსია, **რაც მიუთითებს შედარებით სამართლიან არჩევნებზე,** ან თუკი სხვა ანალიზების დასკვნებს დავეყრდნობით, ურბანულ დასახლებებში მოხდა კარგად ორგანიზებული და დაბალანსებული გაყალბება სხვადასხვა უბანზე განაწილებით.
- რურალურ დასახლებებში მარჯვენა ნაწილში ვხვდებით **უჩვეულო „კუდს,“** (ე.წ. რუსულ კუდს), **რაც მიუთითებს გაყალბებაზე.**
    - ასობით ლოკაცია მთავრობის მიმართ უჩვეულოდ „მაღალ მხარდაჭერას“ ასახავს.
- **ფაქტობრივად შეუძლებელია, რომ ამდენმა ლოკაციამ** ბუნებრივად წარმოქმნას ასეთი მკვეთრი ამოვარდნა ნაცვლად უფრო გლუვი ტრენდისა.
- **ეს მახასიათებელი როგორც წესი აჩვენებს, რომ ბიულეტენები ჩაყარეს ან არასწორად დაითვალეს.**

საქართველოს მაგალითი



**PEC - Precinct Election Commission level. In this context, it means reporting the number of votes each candidate or party received at each individual precinct or polling station*

Source: LevanKvirkvelia, RomanUdot, Jed Burkat

უფრო დეტალური ანალიზი

- ამ გრაფაზე თითოეული წერტილი ხმის მიცემის ადგილს აღნიშნავს:
    - Y: რეგისტრირებულ ამომრჩეველთა შორის პარტიისთვის ხმის მიმცემთა %
    - X:რეგისტრირებულ ამომრჩეველთა შორის ხმის მიმცემთა რაოდენობის (აქტივობის) %
    - თითოეულ ლურჯ წერტილს აქვს თავისი სარკისებრი წითელი წერტილი და **ამ ორი წერტილის მონაცემთა ჯამი** *(მთავრობა და ოპოზიცია)* **უნდა იყოს 100%, რომელსაც გამოხატავს დიაგონალური y=x შავი ხაზი.**
    - წერტილები შავ დიაგონალურ ხაზს ვერ ასცდება, რადგან ვერ გვექნება უფრო მეტი ხმა, ვიდრე გამოცხადებულ ხმის მიმცემთა რაოდენობა.
- სამართლიანი ხმის მიცემის დროს წერტილოვანი ღერძის დახრილობა თანხვედრაშია კანდიდატის პროცენტულობასთან *(თუ კანდიდატს მოსახლეობაში აქვს 30% მხარდაჭერა, მაშინ ყოველი 100 ხმიდან 30 მხარს უჭერს კანდიდატს, ანუ y = 0.3 * x).*
- ამიტომ წესით წერტილებმა **თავი უნდა მოიყაროს საკუთარი ტრენდის ხაზის ირგვლივ** და **ეს სწორედ ის არის, რასაც ვხედავთ ურბანულ დასახლებებში,** რაც მიუთითებს შედარებით სამართლიან არჩევნებზე, ან, თუკი სხვა ანალიზების დასკვნებს დავეყრდნობით, ურბანულ დასახლებებში მოხდა კარგად ორგანიზებული და დაბალანსებული გაყალბება სხვადასხვა უბანზე განაწილებით.
- რურალურ დასახლებებში მმართველ პარტიას აქვს მრავალი წერტილის მონაცემი, რომლებიც **მნიშვნელოვნად დაშორებულია ტრენდის ღერძიდან და ძალიან უახლოვდება შავ დიაგონალურ ხაზს.**
    - ეს იმას ნიშნავს, რომ ასობით მცირე და დიდ ლოკაციაზე **გამოცხადდა ამომრჩევლის 100% და თითქმის ამ ყველას 100%-მა ხმა მისცა მმართველ პარტიას, - ეს სცენარი პრაქტიკულად შეუძლებელია სამარათლიან არჩევნებში.**





Source: LevanKvirkvelia, RomanUdot, Jed Burkat

„კომეტა“ მახასიათებელი

- „კომეტა“ მახასიათებელი ჩნდება მაშინ, როცა ვაანალიზებთ არჩევნების შედეგებს, სადაც ხმათა უმრავლესობა ერთი პარტიის ირგვლივ იყრის თავს.
- მსგავსი „კომეტა“ მახასიათებლები შეინიშნება საქართველოს არჩევნების მონაცემებში.
- როცა საქართველოს არჩევნების შედეგებს ჩავშლით ურბანულ და რურალურ დასახლებებად, შეინიშნება, რომ **რურალური დასახლებები თითქმის სრულად „კომეტის“ მახასიათებლის ქვეშაა.**
- ეს გვიჩვენებს, რომ **ქართულმა ოცნებამ რურალურ დასახლებებში ხელოვნურად გაზარდა საკუთარი ხმების რაოდენობა.**
- მარჯვენა გრაფა აღნიშნავს სხვადასხვა ქვეყნის არჩევნებს. უგანდისა და რუსეთის არჩევნები გვიჩვენებს კლასტერულ კონცენტრაციას ზედა მარჯვენა მხარეს, აღწევს რა მეორეულ პიკს ამომრჩევლის 100%-ის აქტივობისას და ხმების 100%-ის ხმის მიცემისას (რასაც აღნიშნავს წითელი რგოლები).







Source: Jed Burkat

ქალ და მამაკაც ამომრჩეველთა აქტივობას შორის განსხვავება

სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების (ISFED) მიხედვით, საარჩევნო უბნების მნიშვნელოვან ნაწილზე ქალ და მამაკაც ამომრჩეველთა აქტივობას შორის განსხვავება სცილდება ნორმალურ განაწილებას და ავლენს მახასიათებლებს, რომლებიც პრაქტიკულად შეუძლებელი და არაბუნებრივია

23 საარჩევნო უბანზე, ხმის მიმცემ მამაკაცთა რაოდენობა აჭარბებს საარჩევნო უბანზე რეგისტრირებულ მამაკაცთა რაოდენობას. აღსანიშნავია, რომ ეს ანომალია დაფიქსირდა ელექტრონულ საარჩევნო უბნებზეც, რაც ბადებს ეჭვებს ხმის მიცემის ელექტრონულ აპარატებში გარე ჩარევასთან დაკავშირებით.

აღსანიშნავია, რომ სულ მცირე **ექვს უბანზე** დაფიქსირდა შემდეგი: **მამაკაც ამომრჩეველთა აქტივობამ შეადგინა 100%-ზე** მეტი და ეს იმ ჰიპოთეტურ შემთხვევაშიც კი, თუ ჩავთვლით, რომ სპეციალურ სიაში ყველა ხმის მიმცემი პირი იყო მამაკაცი.

- 275 საარჩევნო უბანზე, **მამაკაც და ქალ ამომრჩეველთა შორის აქტივობის განსხვავებამ გადააჭარბა 20%-ს**. აქედან 243 უბანზე დაფიქსირდა მამაკაც ამომრჩეველთა მაღალი აქტივობა, ხოლო 32 უბანზე - ქალ ამომრჩეველთა.
- აღნიშნული 275 უბნიდან, **67 უბანზე მამაკაც ამომრჩეველთა აქტივობა ქალთა აქტივობას აჭარბებდა 30 პროცენტულ პუნქტზე მეტით**. 12 უბანზე პირიქით, ქალთა აქტივობა აჭარბებდა მამაკაცთა აქტივობას ამხელა ნიშნულით.

აღსანიშნავია, რომ მას შემდეგ, რაც ISFED-მა გამოითხოვა საარჩევნო უბნების დეტალური მონაცემები, ამომრჩეველთა აქტივობის თავდაპირველი მონაცემები ცესკოს საიტიდან წაიშალა და იგი ჩასწორებული მაჩვენებლებით ჩანაცვლდა.

2020 წლის საპარლამენტო არჩევნებთან შედარებით მამაკაცებსა და ქალებს შორის აქტივობის განსხვავება არანორმალურია



** IRI report on 2020 election results*

Source: ISFED

არჩევნების დამოუკიდებელი დაკვირვების შედეგები

დამოუკიდებელი დაკვირვებების შეჯამება

- საერთაშორისო და ადგილობრივი ორგანიზაციების მიერ განხორციელებული დამოუკიდებელი დაკვირვებების შეფასების თანახმად, 2024 წლის საპარლამენტო არჩევნები **არ კვალიფიცირდა როგორც „თავისუფალი და სამართლიანი“.**
- **დაკვირვების შედეგად გამოვლინდა არსებითი რაოდენობის პრობლემები, რომლებმაც უარყოფითი გავლენა მოახდინეს როგორც მთლიანად საარჩევნო პროცესზე, ასევე არჩევნების შედეგებზე.**
- **სხვა პრობლემებთან ერთად, დამოუკიდებელმა დამკვირვებლებმა გამოავლინეს შემდეგი:**
  - წინასაარჩევნო პერიოდში განვითარებული მოვლენები, მათ შორის საკანონმდებლო ცვლილებები, რომლებიც უარყოფითად აისახა ფუნდამენტურ თავისუფლებებზე და სამოქალაქო საზოგადოებაზე
  - პირადობის ბარათების კონფისკაცია არჩევნების პერიოდში მათი შემდგომი მრავალჯერადი გამოყენების მიზნით
  - დაძაბული გარემო არჩევნების დღეს და ამომრჩევლების დაშინება
  - ხმის მიცემის ფარულობის სისტემური ვერ უზრუნველჰყოფა
  - კარუსელის მეთოდების გამოყენება და ხმების ყიდვა
  - მარკირების წესის სისტემატიური და მრავალგვარი დარღვევა
  - დამკვირვებლებისთვის დაბრკოლებების შექმნა
  - საარჩევნო უბნებზე არაუფლებამოსილი პირების მობილიზება ამომრჩეველზე ზეწოლის მიზნით

არჩევნების საერთაშორისო სადამკვირვებლო მისია

არჩევნების საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიის (რომელშიც შედიოდნენ ნატოს საპარლამენტო ასამბლეის, ევროპარლამენტის, OSCE/ODIHR, ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის (ეუთო), ევროპის საბჭოს წარმომადგენლები) **წინასწარი დასკვნები არ ადასტურებს, რომ საქართველოში** 2024 წლის 26 ოქტომბერს ჩატარებული არჩევნები იყო **თავისუფალი და სამართლიანი.**

არჩევნების საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიის წინასწარი დასკვნებისა და შედეგების თანახმად, 2024 წლის საპარლამენტო არჩევნებთან დაკავშირებულ სხვა პრობლემებთან ერთად გამოვლინდა/დაფიქსირდა შემდეგი:

- არჩევნები „მიმდინარეობდა **ღრმა პოლარიზაციის ფონზე**.“
- ახლად მიღებული კანონმდებლობის **უარყოფითი გავლენა „ფუნდამენტურ თავისუფლებებსა და სამოქალაქო საზოგადოებაზე“.**
- „საარჩევნო კამპანიის დროს ფართოდ გამოიყენებოდა ზეწოლა ამომრჩევლებზე, კერძოდ საჯარო მოხელეებზე. ამან, არჩევნების დღეს ამომრჩეველთა ფართომასშტაბიან თვალყურის დევნებასთან ერთად, ეჭვი გააჩინა იმის შესახებ, რომ ზოგიერთი ამომრჩეველი ვერ შეძლებდა ხმის მიცემას ისე, რომ შურისძიების შიში არ ჰქონოდა.“
- „ბოლოდროინდელი ხშირი ცვლილებები *[საკანონმდებლო ბაზაში]* **უკან გადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენს და ქმნის ამ ცვლილებების პოლიტიკური მიზნებისთვის გამოყენების საშიშროებას“**.

წყარო: OSCE

არჩევნების საერთაშორისო სადამკვირვებლო მისია

- „საარჩევნო კამპანიის **ფინანსური ზედამხედველობის ეფექტიანობა ეჭვს ქვეშ დადგა შეზღუდული სააღსრულებო მოქმედებების გამო**, ასევე საზედამხედველო ორგანოს მიუკერძოებლობასა და პოლიტიკურ ინსტრუმენტალიზაციასთან დაკავშირებით არსებული ეჭვების გამო.“
- **არჩევნების დღე “გამოირჩეოდა დაძაბული გარემოთი, ხმის მიცემის საიდუმლოების ხშირი დარღვევებით** და რამდენიმე პროცედურული შეუსაბამობით, ასევე შეტყობინებებით **ამომრჩევლების დაშინებისა და მათზე ზეწოლის** შესახებ, რაც უარყოფითად აისახა არჩევნების პროცესის მიმართ საზოგადოების ნდობაზე.“
- „ძირითად დაინტერესებულ მხარეებს **საერთოდ არ ჰქონდათ წვდომა [ელექტრონული მოწყობილობების] აუდიტის პროცესებზე და ჰქონდათ შეზღუდული წვდომა შესაბამის დოკუმენტაციაზე**, რაც ზღუდავს გამჭვირვალობას და ეწინააღმდეგება საერთაშორისო კარგი პრაქტიკის პრინციპებს.“
- შედეგები მიუთითებს, რომ „დაკვირვებების **24 პროცენტ შემთხვევებში ხმის მიცემის საიდუმლოება პოტენციურად დაირღვა ამომრჩევლების მიერ ბიულეტენების საარჩევნო ყუთში მოთავსების წესით, ხოლო 7 პროცენტ შემთხვევებში კი საარჩევნო უბნის განლაგებითა და მოწყობით**“.
- „საარჩევნო უბნების უმეტესობაში, პარტიების, **ძირითადად ქართული ოცნების, წარმომადგენლები აფიქსირებდნენ ხმის მიცემის პროცესს**. ამას, როგორც აღინიშნა, **ჰქონდა დაშინების ეფექტი, რადგან კამერები ხშირად მიმართული იყო VID-ზე ან ხმის მიცემის კაბინაზე, რაც პოტენციურად არღვევდა ხმის მიცემის საიდუმლოების პრინციპს.”**
- **„უცნობი პირები ასევე თვალყურს ადევნებდნენ ამომრჩეველს გარეთ** (10%) და **პარტიის წარმომადგენლებს საარჩევნო უბნების შიგნით** (7%)**.** საერთაშორისო დამკვირვებლებმა განაცხადეს ჯგუფური ან ოჯახური ხმის მიცემის შესახებ **საარჩევნო უბნების 4 პროცენტ შემთხვევებში**.“
- „ზოგიერთ შემთხვევებში საერთაშორისო დამკვირვებლებმა მიიღეს საჩივარი **ამომრჩევლის მოსყიდვის** შესახებ.”

წყარო: OSCE

ჩემი ხმა

- „ჩემი ხმა“, საქართველოს სამოქალაქო ორგანიზაციების კოალიციური სადამკვირვებლო მისია, აკვირდებოდა 26 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებს დაახლოებით **2,000 დამკვირვებლის** მეშვეობით, რომლებიც უწყვეტად აკვირდებოდნენ 1,131 საარჩევნო უბანს ქვეყნის შიგნით და 150 უბანს საზღვარგარეთ.
- „ჩემი ხმა“ იძლევა საქართველოში არჩევნების გაყალბების მკაფიო მტკიცებულებას, რის შესახებაც იტყობინება ადგილობრივი მედია, მათ შორის **220-ზე მეტ ფოტოსა და ვიდეო ჩანაწერს, რომლებიც ადასტურებს არჩევნების დღეს დაფიქსირებულ დარღვევებს.**
- საარჩევნო დამკვირვებელთა კოალიციამ „ჩემი ხმა“ შეიტანა საჩივარი **29** საარჩევნო ოლქში **246 საარჩევნო უბნის შედეგების ბათილად ცნობის მოთხოვნით**. **აღნიშნულ უბნებზე რეგისტრირებულ ამომრჩეველთა საერთო რაოდენობა შეადგენს 417,305 ადამიანს**.
- არჩევნების დღეს კოალიცია „ჩემი ხმა“-ს დამკვირვებლებმა გამოავლინეს ხმის მიცემის საიდუმლოების პრინციპის დარღვევის, სხვის მაგივრად/განმეორებით ხმის მიცემის, მარკირების შეუმოწმებლობისა და მარკირების გარეშე ხმის მიცემის, საარჩევნო უბნებზე ფიზიკური და სიტყვიერი თავდასხმის შემთხვევები, ასევე დაკვირვებისთვის ხელის შეშლისა და დაკვირვების (განსაკუთრებით ვერიფიკაციის პროცესზე დაკვირვების) შეუძლებლობის, უბანზე აგრესიული არაუფლებამოსილი პირების ყოფნისა და კომისიის წევრების მიერ აგიტაციის ასობით ფაქტი.

საარჩევნო პროცესის დარღვევის შემთხვევები, გამოვლენილი კოალიცია „ჩემი ხმა“-ს მიერ (2024 წლის 7 ნოემბრის მდგომარეობით)

დარღვევის ტიპი	საარჩევნო უბნების რაოდენობა
დამკვირვებელს ხელს უშლიდნენ დაკვირვების პროცესში	160
მარკირება არ შემოწმდა	191
მარკირება არ გაკეთდა	153
დაირღვა ხმის მიცემის საიდუმლოების პრინციპი	365
დაფიქსირდა ფიზიკური დაპირისპირება/ძალადობა/ზეწოლა	85
საარჩევნო უბანზე ან მის მახლობლად იმყოფებოდნენ არაუფლებამოსილი პირები	259

196 საარჩევნო უბანზე (ე.ი. „ჩემი ხმა“-ს დაკვირვების ქვეშ მყოფი უბნების 17%-ზე) დარღვევებს ჰქონდა განმეორებითი, უწყვეტი და ზოგიერთ შემთხვევაში სისტემური ხასიათი.

წყარო: MyVote

წყარო: MyVote

საერთაშორისო გამჭვირვალობა

ცენტრალური საარჩევნო კომისიის როლი არჩევნების გაყალბების სქემაში

როგორც საერთაშორისო გამჭვირვალობა იტყობინება, მოპოვებული და საჯაროდ ხელმისაწვდომი მტკიცებულებები ადასტურებს **ცენტრალური საარჩევნო კომისიის (ცესკო)** ჩართულობას **არჩევნების გაყალბების სქემაში.** უფრო კონკრეტულად:

- **ხმის მიცემის ფარულობის პრინციპის დარღვევა:** "ცესკო-მ არ შეასრულა თავის **დაპირება**, რომ საარჩევნო ბიულეტენის ქაღალდის ხარისხი უზრუნველყოფდა არჩევნების დღეს ამომრჩევლის კონფიდენციალურობას." თხელი ქაღალდი, რომელზეც ბიულეტენი იყო დაბეჭდილი, საშუალებას იძლეოდა, რომ ელექტრონულ საარჩევნო უბნებზე მყოფ **პირებს**, ასევე საარჩევნო კაბინებთან დამონტაჟებულ **ვიდეო კამერებს ენახათ ამომრჩევლის მიერ გაკეთებული არჩევანი.**
- **ზეგავლენა რეგისტრატორებსა და ფიზიკურ პირებზე, რათა მათ დაეცვათ ქართული ოცნების ინტერესები:** ცესკოს მიერ საარჩევნო კანონმდებლობაში წინასაარჩევნოდ, თვითნებურად შეტანილი ცვლილებების საფუძველზე, (დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციისა და მათი ჩართულობის გარეშე) ცესკომ **რეგისტრატორები დანიშნა არჩევნებამდე ერთი კვირით ადრე** და არა არჩევნების დღეს; **ასევე ერთი კვირით ადრე დანიშნა პირები, რომლებიც იმუშავებდნენ ვერიფიკაციის მოწყობილობებთან**. ამან საშუალება მისცა ცესკოს ზეგავლენა მოეხდინა რეგისტრატორებსა და ფიზიკურ პირებზე, რათა მათ დაეცვათ ქართული ოცნების ინტერესები.
- **რიგების მართვის წესებისა და მარკირების პროცედურის დარღვევა:** ცესკომ იგივე გადაწყვეტილებით „საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებს საშუალება მისცა არაგამჭვირვალედ მიენიჭებინათ პასუხისმგებელი როლები რიგის მართვასა და მარკირების პროცედურაზე". მარკირების წესების დარღვევამ „მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი გაყალბების სქემის წარმატებას", ხოლო „**მარკირების შეუსრულებლობამ შესაძლებლობა მისცა ამომრჩევლებს ხმა მიეცათ სხვისი პირადობის მოწმობისა და პირადი ნომრის გამოყენებით**".
- **კარუსელის მეთოდის გამოყენება**: "**ისეთი ფართომასშტაბიანი სქემის გამოყენება, როგორიცაა ხმის მიცემა სხვისი პირადობის მოწმობით** [მაგალითად იმათი სახელით, ვინც არ იმყოფებოდა საქართველოში ან დარეგისტრირებულ მისამართზე], **შეუძლებელი იქნებოდა სააჩევნო ადმინისტრაციის ჩართულობის გარეშე.**" "**ცესკო-ს გადაწყვიტელებამ, არ გაეხსნა დამატებითი უბნები საზღვარგარეთ გაზარდა იმ მოქალაქეების რიცხვი, რომლებმაც ვერ მიიღეს არჩევნებში მონაწილეობა.**"

წყარო: Transparency International

საერთაშორისო გამჭვირვალობა

ცენტრალური საარჩევნო კომისიის როლი არჩევნების გაყალბების სქემაში (გაგრძელება)

- **საარჩევნო უფლებების შეზღუდვა:**
    - ზოგიერთ ამომრჩეველს ხმის მიცემის უფლება არ მისცეს, რადგან ისინი, სავარაუდოდ, გადასატანი ყუთების სიაში იყვნენ და მათი ხმები უკვე მიცემული იყო. გარკვეული პირები საარჩევნო ადმინისტრაციის სახელით მივიდნენ მათ სახლებში და დაპირდნენ, რომ გადასატანი ყუთის სიაში შეიტანენ და გადასატან ყუთს მათ არჩევნების დღეს სახლში მიუტანდნენ. თუმცა გადასატანი ყუთი მათთან არ მიუტანიათ. **სავარაუდოდ, მათ ნაცვლად სხვა პირებმა მისცეს ხმა.**
    - საზღვარგარეთ რამდენიმე საარჩევნო უბანზე, იმ ქალაქებში, სადაც ემიგრანტი ამომრჩევლების დიდი რაოდენობა ცხოვრობს, ხმის მიცემის პროცესი ბრკოლდებოდა არასათანადო ინფრასტრუქტურისა და რეგისტრატორების ნაკლებობის გამო - **ბევრმა ამომრჩეველმა ხმის მიცემა ვერ მოახერხა**.
- **დამკვირვებლებისთვის ხელის შეშლა:** მიუხედავად აღებული ვალდებულებისა, **არ შექმნილიყო დაბრკოლებები ვერიფიკაციის პროცესზე დაკვირვებისთვის**, დაკვირვება ბევრ **უბანზე შეუძლებელი იყო** - სარეგისტრაციო მაგიდები ისე იყო განთავსებული კედელთან, რომ დამკვირვებლებს არ შეეძლოთ პროცესის სრული მონიტორინგი; იმ შემთხვევაში, თუ დამკვირვებლებს აძლევდნენ უფლებას დამდგარიყვნენ გადამოწმების მოწყობილობების უკან, კომისიის წევრები აძლევდნენ მათ მითითებას, რომ გაწეულიყვნენ გვერდზე და აცხადებდნენ, რომ მათ არ ჰქონდათ იმ ადგილიდან დაკვირვების უფლება. ზოგიერთ შემთხვევაში, დამკვირვებლები განზრახ გააძევეს საარჩევნო უბნებიდან.
- **ქართული ოცნების ოჯახის წევრებისა და დაკავშირებული პირების დანიშვნა საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებად და თავმჯდომარეებად:** კომისიის წევრები აფერხებდნენ სადამკვირვებლო ორგანიზაციებს, მოქმედებდნენ აგრესიულად, სიტყვიერ და ფიზიკურ შეურაცხყოფას აყენებდნენ დამკვირვებლებს და გაღიზიანებულად რეაგირებდნენ წერილობით საჩივრებზე. ისინი ხელს უწყობდნენ უბნებზე არაუფლებამოსილი პირების ყოფნას, აფიქსირებდნენ და აკონტროლებდნენ ამომრჩევლებს და ინფორმაციას ამომრჩეველთა შესახებ გადასცემდნენ მმართველი პარტიის ე.წ. „ქოლ ცენტრების“ მეშვეობით.
- **დარღვევებზე რეაგირების არარსებობა**: მიუხედავად არჩევნების დღეს დაფიქსირებული მრავალრიცხოვანი დარღვევებისა (ხმის მიცემა სხვისი პირადობის მოწმობით, გადამოწმების პროცედურის დარღვევა, მარკირების პროცედურის დარღვევა და ა.შ.), ცესკო-ს თავმჯდომარეს არ მოუხდენია მათზე რეაგირება და არ მიუცია კომისიის წევრებისთვის/შესაბამისი სამსახურებისთვის რეაგირების მითითება.
- **ცეკსო-მ აკრედიტაცია მიანიჭა აშშ-ის მიერ ძებნილ რუს პროპაგანდისტს:** მედია იტყობინება, რომ ცესკო-მ აკრედიტაცია მიანიჭა რუსეთის პროპაგანდისტურ სააგენტოებს, მათ შორის NTV-თან ასოცირებულ ალექსანდრ მალკევიჩს, რომელმაც ადრე დაარღვია საქართველოს კანონი „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“. მალკევიჩი იძებნება აშშ-ის მთავრობის მიერ აშშ-ის არჩევნებში სავარაუდო ჩარევის გამო და მისი დაკავებისთვის 10 მილიონი აშშ დოლარის ჯილდოა დაწესებული. აკრედიტაცია მინიჭებულია ცესკო-ს მდივნის პასუხისმგებლობით.

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია (საია)

- საია-ს თანახმად, 2024 წლის 26 ოქტომბერს საპარლამენტო **არჩევნების დღემ მნიშვნელოვანი დარღვევებით გამორჩეულ გარემოში** ჩაიარა, რომელიც უპირატესად ხასიათდებოდა უთანასწორობით, ძალადობითა და დაძაბულობით.
- არჩევნების დღეს საია-მ დააფიქსირა 589 დარღვევა/ცუდი პრაქტიკა.
- ამ დარღვევების ხასიათიდან, ინტენსივობიდან და ურთიერთდამოკიდებულებიდან გამომდინარე, საია-ს სადამკვირვებლო მისიამ გამოავლინა შემდეგი ძირითადი დარღვევები:
    - **ხმის მიცემის ძირითადი პროცედურების შეუსრულებლობა** – გამოვლენილ იქნა მარკირების პროცედურის დარღვევის სხვადასხვა ფორმები
    - **დამკვირვებლებისთვის ხელის შეშლა** – დღის განმავლობაში დამკვირვებლები მრავალ დაბრკოლებას წააწყდნენ, რამაც ხელი შუშალა **თავისუფალი და გამჭვირვალე დაკვირვების პროცესს**
    - **ხმის მიცემის ფარულობის პრინციპის დარღვევა და ამომრჩევლის ნებაზე ზემოქმედება**
- 29 ოქტომბერს **საია-მ წარადგინა საჩივრები** საუბნო საარჩევნო კომისიებში და **მოითხოვა შედეგების ანულირება** შესაბამისი ოლქების **ყველა იმ საარჩევნო უბანზე, სადაც არჩევნები ჩატარდა Smartmatic ელექტრონული მოწყობილობების მეშვეობით, რაც ჯამურად 3,111 უბნის 90%-ს შეადგენს.** ამ საჩივრის მიზეზს წარმოადგენს ხმის მიცემის ფარულობის პრინციპის დარღვევა, რადგან ასეთ მოწყობილობებში გამოყენებული ქაღალდი იმდენად თხელი იყო, რომ ამომრჩევლის მიერ გაკეთებული არჩევანი ადვილად იდენტიფიცირდებოდა დამკვირვებლების მიერ, რომლებიც სპეციალურად ამ მიზნით იდგნენ ხმის მიცემის ელექტრონული მოწყობილობების გვერდით.

წყარო: GYLA

თეთრიწყაროს რაიონული სასამართლოს მოსამართლემ ვლადიმერ ხუჭუამ დააკმაყოფილა საია-ს სარჩელი ხმის მიცემის ფარულობის მასობრივი დარღვევების შესახებ და გააუქმა 30 საარჩევნო უბნის შედეგები, დაახლოებით 20,000 ამომრჩევლით, ხოლო თბილისის და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოებმა საია-ს მიერ წამოყენებული იგივე სარჩელი არ დააკმაყოფილეს.

არჩევნების გაყალბების ძირითადი მეთოდები

არჩევნების გაყალბებისას გამოყენებული მეთოდების შეჯამება

- მონიტორინგის შედეგებისა და დადოკუმენტირებული მტკიცებულებების თანახმად, **საარჩევნო პროცესში გამოყენებული იყო გაყალბების მრავალი მეთოდი და სქემა**.
- **დარღვევების ხასიათი და მასშტაბი ისეთია, რომ მან მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა არჩევნების შედეგებზე.**
- **არსებობს დიდი რაოდენობით ფოტო და ვიდეო მასალა არჩევნების გაყალბების შესახებ, ასევე, არჩევნების შემდგომი ჟურნალისტური გამოძიებები, რომლებიც ადასტურებს დარღვევებისა და არჩევნების გაყალბების სისტემურ ხასიათს.**
- საარჩევნო პროცესთან დაკავშირებული დარღვევები დაიწყო **წინასაარჩევნო პერიოდში** (საარჩევნო კანონმდებლობის ცვლილება, პირადობის მოწმობების კონფისკაცია, ამომრჩევცლების პერსონალური ინფორმაციის შეგროვება და ა.შ.), **რამაც საფუძველი შეუქმნა არჩევნების გაყალბებას**.
- ანალიზის საფუძველზე გამოვლინდა საარჩევნო პროცესში გამოყენებული დარღვევების/მეთოდების შემდეგი **ძირითადი სქემები**:
  - **ხმის მიცემის ფარულობის დარღვევა** - გამჭვირვალე საარჩევნო ბიულეტენი აძლევდა დამკვირვებლებს საშუალებას ენახათ თუ რომელი საარჩევნო სუბიექტი მონიშნა/გააფერადა ამომრჩეველმა.
  - **კარუსელის მეთოდი,** რომელიც მოიცავს სხვადასხვა სქემას, როგორიცაა ემიგრანტების ან სხვა პირების პირადობის მოწმობებისა და პირადი ნომრების (რომლებიც არჩევნებამდე იყო ჩამორთმეული) არამართლზომიერი გამოყენება ხმის მიცემის მიზნით, ასევე ერთი და იგივე პიროვნების მიერ ხმის განმეორებითი მიცემა სხვადასხვა საარჩევნო უბანზე.
  - **მარკირების წესების დარღვევა**
  - **ამომრჩევლების დაშინება საარჩევნო უბნებზე და უბნების გარეთ**
  - **მოსყიდვა არჩევნებამდე და არჩევნების დღეს,** მათ შორის საარჩევნო უბნების გარეთ
  - **საარჩევნო ყუთში რამდენიმე ბიულეტენის ჩაყრა** (სადაც არჩევნები ტარდებოდა ხმის მიცემის ელექტრონული მოწყობილობების გარეშე)
  - **დამკვირვებლებისთვის სხვადასხვა ტიპის დაბრკოლებების შექმნა, მათ შორის მათი ფიზიკური უსაფრთხოების ხელყოფა**
  - **ხმის მიცემის ელექტრონული მოწყობილობების ფუნქციების განზრახ დარეგულირება არჩევნების გაყალბებისთვის, როგორიცაა თითის ანაბეჭდისა და სახის ამოცნობის ფუნქციის არარსებობა**
  - **ელ. აპარატებში გარე ჩარევა:** მაგ. 23 საარჩევნო უბანზე მამრობითი სქესის ამომრჩეველთა რაოდენობა აღემატებოდა რეგისტრირებულ მამაკაც ამომრჩეველთა რაოდენობას. მნიშვნელოვანია, რომ მსგავსი ანომალია დაფიქსირდა ელექტრონულ საარჩევნო უბნებზეც, რაც აჩენს **ეჭვებს ხმის მიცემის ელექტრონულ აპარატებში გარე ჩარევასთან დაკავშირებით**.
  - **უცხოეთში უბნების არ გახსნა და დაბრკოლებების შექმნა საქართველოს ფარგლებს გარეთ განლაგებულ საარჩევნო უბნებზე**

დაირღვა ხმის მიცემის ფარულობის პრინციპი

- საია-მ განაცხადა, რომ 17 სექტემბერს მათ გააგზავნეს წერილი ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში (ცესკო), სადაც მიუთითეს რამდენიმე პრობლემაზე, მათ შორის ბიულეტენის ხარისხზე და **ხაზი გაუსვეს, რომ საჭირო იყო ზომების მიღება, რათა არ დარღეულიყო ხმის მიცემის საიდუმლოება**. 28 სექტემბერს საია-ს აცნობეს, რომ ტრენინგებზე და საინფორმაციო შეხვედრებზე ცესკო-ს მიერ გამოყენებული ბიულეტენები წარმოადგენდა საცდელ ვერსიას, ხოლო **არჩევნების დღეს გამოყენებული ბიულეტენების ხარისხი განსხვავებული იქნებოდა, რაც უზრუნველყოფდა კონფიდენციალურობას**. **თუმცა, ეს პირობა არ შესრულდა.**

- ამომრჩევლებმა, დამკვირვებლებმა და ოპოზიციურმა პარტიებმა არჩევნების დღეს ატეხეს განგაში **ხმის მიცემის საიდუმლოების ფართომასშტაბიანი დარღვევების** გამო და განაცხადეს, რომ **ხმის მიცემის ელექტრონულმა სისტემამ ამომრჩევლების არჩევანი სხვებისთვის თვალსაჩინო გახადა**.

- **OSCE/ODIHR-ის მიერ გაკეთებული წინასწარი დასკვნები მიუთითებს იმაზე, რომ ხმის მიცემის საიდუმლოება შესაძლოა დაირღვა დაკვირვებების 24% შემთხვევებში,** რაც გამოწვეულია ბიულეტენის VCD-ში მოთავსების გზით ან საარჩევნო უბნების არასათანადო მოწყობით.



წყარო: OSCE/ODIHR

მარკირებასთან დაკავშირებული პრობლემები

- **მარკირებასთან დაკავშირებით დაფიქსირდა შემდეგი დარღვევები:**
  1. რეგისტრატორები არ ახდენდნენ ამომრჩევლის მარკირებას
  2. რეგისტრატორი ეკითხებოდა ამომრჩევლებს, სურდათ თუ არა მათ მარკირება
  3. ამომრჩევლებს უშვებდნენ საარჩევნო უბნებზე მარკირების შემოწმების გარეშე

- **როგორ მიიღწეოდა ეს?**

1. არჩევნებამდე **შეიცვალა ადმინისტრირების წესები** და დამოუკიდებელი რეგისტრატორების დაქირავების ნაცვლად **მოხდა ქართული ოცნების მხარდამჭერების დანიშვნა მარკირების პროცესის ზედამხედველობისთვის, პირადობის მოწმობების შემოწმებისთვის და რეგისტრაციის პროცესის წარმართვისთვის**

2. საარჩევნო უბნებზე არ მიმდინარეობდა **ვიდეო კონტროლი (აღარ იყო სავალდებულო)** და შეუძლებელი გახდა ამ პროცესის გაკონტროლება ან მომავალში გადამოწმება.

- **ზემოთ აღწერილ დარღვევებს მოჰყვა კარუსელის მეთოდის გამოყენება.**

კარუსელის მეთოდი: საიდენტიფიკაციო ბარათების კონფისკაცია და არამართლზომიერად გამოყენება ხმის მიცემის მიზნით

- **ოპოზიციური პარტიების მხარდამჭერებისთვის პირადობის მოწმობების ჩამორთმევა**
  - პირადობის მოწმობები ჩამოერთვათ **პირებს, რომლებიც მხარს უჭერენ ოპოზიციას** და უმეტესად მათ, ვინც **საჯარო სექტორშია დასაქმებული**. ეს პროცესი მიმდინარეობდა **მოსყიდვის ან/და მუქარის** გზით, მაგალითად სამსახურიდან დათხოვნის მუქარით.
  - ეს პირადობის მოწმობები გადაეცა ქართული ოცნების მომხრეებს, რომლებმაც ხმა მისცეს მოწმობების კანონიერი მფლობელების ნაცვლად.

- **ქართული ოცნების პოტენციური მხარდამჭერებისთვის პირადობის მოწმობების ჩამორთმევა**
  - პირადობის მოწმობები ჩამოერთვათ **პირებს, რომლებიც იყვნენ ქართული ოცნების მხარდამჭერები,** მაგრამ მმართველი პარტია არ იყო დარწმუნებული, რომ ისინი მონაწილეობას მიიღებდნენ არჩევნებში. პირადობის მოწმობები არჩევნების წინა დღეს დაუბრუნდათ მფლობელებს, მაგრამ შესაბამისი პირადი ნომრები დაკოპირდა არჩევნების დღეს გამოსაყენებლად. ქართული ოცნების ამ პოტენციურ მხარდამჭერებს მიეცათ მითითება, რომ ხმა მიეცათ არჩევნების დღის 13:00 საათამდე.
  - არჩევნების დღეს, ხმის მიცემის პროცესის ბოლოს, ქართული ოცნების მხარდამჭერებს გადაეცათ იმ პირების პირადი ნომრები, რომლებიც არ მივიდნენ არჩევნებზე და ამ მხარდამჭერებმა ხმა მისცეს ამ პირების ნაცვლად. ყალბი ამომრჩევლები გამოცხადდნენ უბნებზე საკუთარი პასპორტებით, რომლებშიც იდო ქაღალდი „დაკოპირებული პირადობის მოწმობით“, ხოლო „მთავარ“ რეგისტრატორს შეჰყავდა არჩევნებზე არგამოცხადებული ამომრჩევლის „დაკოპირებული პირადობის მოწმობა“ სისტემაში, რეალურად მოსული ამომრჩევლის პასპორტის ნომრის ნაცვლად (ელექტრონულ სარეგისტრაციო მოწყობილობას ჰქონდა ხარვეზი - ის არ ცნობდა პასპორტს, მხოლოდ პირადობის მოწმობას, ამიტომ პასპორტის ნომერი ხელით უნდა შეეყვანათ).

კარუსელის მეთოდი: ემიგრანტების პირადი ნომრების არამართლზომიერი გამოყენება

- **ემიგრანტების პირადი ნომრების არამართლზომიერი გამოყენება**
  - 26 ოქტომბრის არჩევნების მდგომარეობით, **ხმის მისაცემად დარეგისტრირდა 95,910 ქართველი ემიგრანტი**. ცენტრალური საარჩევნო კომისიის (ცესკო) მონაცემები მიუთითებს, რომ საზღვარგარეთ მცხოვრები ქართველი მოქალაქეების საერთო რაოდენობა შეადგენს 276,040-ს. **თუმცა ქართველი ემიგრანტების ფაქტობრივი რაოდენობა გაცილებით მეტია:**

    ✓ ცესკო-ს ამომრჩეველთა სია მოიცავს 3,495,789 პირს, მაშინ როცა საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, 2024 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, საქართველოში ირიცხებოდა ხმის მიცემის ასაკის 2,852,881 მოქალაქე. შესაბამისად, **ხმის მიცემის უფლების მქონე ქართველი ემიგრანტების რეალური რაოდენობა შეადგენს 642,908-ს** (3,495,789 - 2,852,881).

    ✓ ეს ნიშნავს, რომ **546,998 ქართველი ემიგრანტი** (642,908 - 95,910) **ხმის მისაცემად არ დარეგისტრირებულა. შესაბამისად ამ პირების პირადი ნომრები** გაყალბების ზემოთ აღწერილი მეთოდებით **გამოყენებისთვის ხელმისაწვდომი იყო არჩევნების დღეს.**

  - ის ფაქტი, რომ არჩევნების დღეს საქართველოს მთავრობამ მოსთხოვა მოქმედ ავიაკომპანიებს იმ დღეს საქართველოში ჩამოსული პირების სიები, აძლიერებს ზემოთ აღწერილ ეჭვებს.

საზღვარგარეთ მყოფი ამომრჩევლებისთვის საარჩევნო უბნების/რეგისტრატორების ნაკლებობა

- საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თანახმად, საზღვარგარეთ მცხოვრები ამომრჩევლების რაოდენობა, რომელთაც უფლება ჰქონდათ, მონაწილეობა მიეღოთ 2024 წლის 26 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებში, ქვეყნის საგარეო საქმეთა სამინისტროსა და სხვა შესაბამისი სააგენტოების მიერ მოწოდებული უახლესი ინფორმაციის საფუძველზე, შეადგენდა 95,834 ადამიანს. საზღვარგარეთ რეგისტრირებული ამომრჩევლების მომსახურებისთვის **42 ქვეყანაში გაიხსნა 67 საარჩევნო უბანი**.
- **ოფიციალური სტატისტიკის თანახმად, მხოლოდ შარმან, ქვეყანა 125,000 ადამიანმა დატოვა.**
- **კანონის თანახმად, საარჩევნო უბნის გასახსნელად დარეგისტრირებული უნდა იყოს მინიმუმ 50 ამომრჩეველი, ხოლო მაქსიმალური ლიმიტი შეადგენს 3,000 ამომრჩეველს ერთ უბანზე. მსოფლიოს 50-ზე მეტ ქალაქში საქართველოს მოქალაქეებმა, ყველა წესისა და რეგულაციის დაცვით (სულ მცირე 50 ამომრჩევლის ხელმოწერის წარდგენით) ოფიციალურად მოსთხოვეს ცესკო-ს ახალი საარჩევნო უბნების გახსნა.**

- თუმცა, **ცესკო-მ ეს მოთხოვნები არ დააკმაყოფილა. მეტიც, სასამართლომ არ მიიღო განსახილველად ემიგრანტებისა და მათი კანონიერი წარმომადგენლების სარჩელები** ამასთან დაკავშირებით.
- როცა საზღვარგარეთ გაიხსნა 67 უბანი, ამომრჩევლებს საათობით მოუწიათ იქ რიგში დგომა, განსაკუთრებით ევროპასა და აშშ-ში. ბევრ ადგილას სიტუაცია შემაშფოთებელი შეიქმნა, სადაც კომისიას არ შეეძლო ამომრჩევლების დარეგისტრირება ხალხის დიდი ნაკადის გამო და ამომრჩევლებმა ვერ შეძლეს ხმის მიცემა. ერთ-ერთ **მთავარ პრობლემას საზღვარგარეთ რამდენიმე უბანზე რეგისტრატორების ნაკლებობა შეადგენდა.**
- **ზოგიერთ შემთხვევაში 3 საარჩევნო უბანი გაიხსნა ერთ მისამართზე (ვინაიდან რეგისტრირებულ ამომრჩეველთა რაოდენობა აჭარბებდა 3,000-ს) და შედარებით მცირე სივრცეში, რათა ხელოვნურად შექმნილიყო გრძელი რიგები და ამომრჩევლებს ხელი შეშლოდათ ხმის მიცემაში.**
- **ათასობით** ამომრჩეველი გამოცხადდა საარჩევნო უბნებზე ხმის მისაცემად, მაგრამ **ვერ შეძლეს ამის გაკეთება** გრძელი რიგებისა და რიგის მართვის ნელი პროცესის გამო, რაც გამიზნულად კეთდებოდა, რათა ხელი შეეშალათ ამომრჩევლებისთვის ხმის მიცემაში - **ეს იყო ამომრჩევლებზე მიზანმიმართული ზეწოლის მეთოდი.**

საქართველოს ფარგლებს გარეთ განლაგებული საარჩევნო უბნებიდან მიღებული შედეგების თანახმად, ოპოზიცია დიდი მხარდაჭერით სარგებლობს ქართველ ემიგრანტებში



Source: CEC

- **ოთხმა ოპოზიციურმა პარტიამ მიიღო 77% vs ქართული ოცნება 13.4%.**
- ქართულ ოცნებას საზღვარგარეთ არჩევნების გაყალბების შეზღუდული შესაძლებლობები აქვს.

ცესკო-მ უარით უპასუხა საზღვარგარეთ მცხოვრები საქართველოს მოქალაქეების მრავალრიცხოვან მოთხოვნებს დამატებითი საარჩევნო უბნების გახსნაზე

მოთხოვნები იყო შემდეგი ქალაქებიდან

ლინცი, ავსტრია	ცინცინატი	შტუტგარტი	ლეჩე	ლუქსემბურგი
სტემფორდი, კონექტიკუტი, აშშ	ფილადელფია	ჰანოვერი	მანტუა	ვალეტა, მალტა
ჩიკაგო	ფილადელფია	კიოლნი	რეჯჯო ემილია	ლოდზი
ლოს ანჟელესი	ჰიუსტონი, ტექსასი, აშშ	ნიურნბერგი, გერმანია	მილანი	ლეგნიცა
დენვერი, კოლორადო, აშშ	დალასი, ტექსასი	ფრაიბურგი, გერმანია	ნეაპოლი, იტალია	ვროცლავი, პოლონეთი
ბოსტონი	მაიამი	ზაარბრიუკენი, გერმანია	მესტრე (VE), იტალია	თესალონიკი, საბერძნეთი
მინეტონკა, მინესოტა	ატლანტა, ჯორჯია	ვალენსია	სალერნო, ოტალია	სანტორინი, საბერძნეთი
ბრუკლინი	ანტვერპენი	არნედო	ტურინი, იტალია	სტრასბურგი
მონრო, ნიუ-იორკი, აშშ	კარლსრუე	ბურგოსი, ესპანეთი	ტორონტო	ნანტი, საფრანგეთი
სომერვილი, ნიუ ჯერსი	ჰამბურგი	ლიმერიკი	ვანკუვერი	მონპელიე, საფრანგეთი

ხმის მიცემის ელექტრონული აპარატები სპეციალურად დარეგულირებული ფუნქციებით არჩევნების გაყალბების მიზნებს ემსახურებოდნენ

- Smartmatic-ის არჩევნებისთვის გამოყენებული ელექტრონული იდენტიფიკაციის აპარატები **აღჭურვილია როგორც სახის ამოცნობის, ასევე თითის ანაბეჭდის ამოცნობის ფუნქციებით** (ეს უკანასკნელი გამოიყენებოდა ვენესუელაში ჩატარებულ არჩევნებში). თუმცა, **საქართველოს ხელისუფლებას ეს ფუნქციები არ დაუყენებია** იმ აპარატებში, რომლებიც არჩევნების დროს იყო გამოყენებული.
- შესაძლებელი იყო **ბიულეტენების მიმღებ აპარატთან ფლეშ დრაივის მიერთება**, რომლის გამოყენება არჩევნების დღეს მარტივად შეიძლებოდა აპარატის დასაჰაკად.
- გამოცდილებიდან გამომდინარე, მაღალი ალბათობით აპარატების მწარმოებელ **Smartmatic-ს ჰქონდა წარმოდგენა გაყალბების პოტენციური სქემების შესახებ, რომლებიც ადაპტირებული იყო ქართული ოცნების მიერ**, ელექტრონული ხმის მიცემის აპარატების შეკვეთისას ცესკო-ს მიერ მოწოდებული სპეციფიკაციების საფუძველზე.
- ხმის მიცემის ელექტრონული მეთოდი სერიოზულ სიძნელეებს წააწყდა ჰოლანდიაში, ირლანდიაში, გერმანიასა და ფილიპინებზე, სადაც ადგილი ჰქონდა დაჰაკვის შემთხვევებს და წარმოიქმნა უსაფრთხოების პრობლემები.

წყარო: Bloomberg

როგორც OSCE-ODHIR-ის წინასწარ დასკვნაშია ნათქვამი, “ძირითად დაინტერესებულ მხარეებს საერთოდ არ ჰქონდათ წვდომა [ელექტრონული მოწყობილობების] აუდიტის პროცესებზე და ჰქონდათ შეზღუდული წვდომა შესაბამის დოკუმენტაციაზე, რაც ზღუდავს გამჭვირვალობას და ეწინააღმდეგება საერთაშორისო კარგი პრაქტიკის პრინციპებს.“

წყარო: OSCE

არჩევნების გაყალბებასთან დაკავშირებული სასამართლო საქმეები

მოკლე შეჯამება

- ჯამში საუბნო საარჩევნო კომისიებში შევიდა დაახლოებით **4,500** საჩივარი (**3,050 უშუალოდ არჩევნების დღეს**), აქედან **1,479 გადავიდა** საოლქო საარჩევნო კომისიებში, ცესკო-ში ან/და პირველი და მეორე ინსტანციის სასამართლოებში.
- **ჯამში ყველა გახსნილი საარჩევნო უბნიდან 72%-ში (**2,250**) დაფიქსირდა 2,429 დარღვევა.**
- **დარღვევის 2,429 შემთხვევიდან 70%-ს ჰქონდა სისტემური ხასიათი,** რაც იმაზე მიუთითებს, რომ **მთელი საარჩევნო სისტემა ხარვეზიანი იყო**.
- ამ საჩივრების **უმეტესობა გამოძიების გარეშე დაიხურა და მხოლოდ 8 საჩივარი** დაკმაყოფილდა (საიდანაც 4 საჩივარი წამოყენებული იყო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მიერ).
- **პირველი ინსტანციის სასამართლოში ადგილი ჰქონდა მიუკერძოებელი გადაწყვეტილებების მიღების მხოლოდ ორ პრეცედენტს:**
    - **თეთრიწყაროს რაიონულმა სასამართლომ** (მოსამართლე **ვლადიმერ ხუჭუა**) მოსარჩელის, ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის სასარგებლოდ გადაწყვიტა საქმე ხმის მიცემის საიდუმლოების დარღვევის შესახებ და **გააუქმა 30 საარჩევნო უბნის შედეგები დაახლოებით 20,000 ამომრჩევლით**.
    - **გორის რაიონულმა სასამართლომ** (მოსამართლე ნინო გერგაული) ნაწილობრივ დააკმაყოფილა სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების (ISFED) სარჩელი და დაავალა გორის საოლქო საარჩევნო კომისიას, ხელახლა დაითვალოს ბათილი ბიულეტენების რაოდენობა 15 უბანზე, თუმცა არ დაკმაყოფილდა სარჩელის მეორე ნაწილი, რომელიც მოითხოვდა საარჩევნო უბნების თავმჯდომარეებისა და მთვლელებისთვის დისციპლინური სანქციების დაწესებას.
- **თუმცა, თბილისის და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოებმა არ დააკმაყოფილეს აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს ყველა რაიონში კენჭისყრის საიდუმლოების მასობრივ დარღვევებთან** დაკავშირებული საჩივრები, რომლებიც წარმოდგენილი იყო საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის (საია) და „ჩემი ხმა“ (არასამთავრობო ორგანიზაციების კოალიციის) მიერ **და განაცხადეს, რომ ხმის მიცემის საიდუმლოება არ დარღვეულა.**

საჩივრები და სასამართლო გადაწყვეტილებები (07.11.24-ის მდგომარეობით)

- ჯამში, არჩევნებთან დაკავშირებული დარღვევების გამო საუბნო საარჩევნო კომისიებში შევიდა დაახლოებით **4,500 საჩივარი**.
- აქედან მხოლოდ **1,479 შემთხვევა** გადაეცა საოლქო საარჩევნო კომისიებს, ცენტრალურ საარჩევნო კომისიას (ცესკო), ან პირველი ან მეორე ინსტანციის სასამართლოს, **რაც ასახავდა 2,429 დაფიქსირებულ დარღვევას 2,250-ზე მეტ საარჩევნო უბანზე (რაც წარმოადგენს ჯამური 3,110 საარჩევნო უბნის 72%-ს).**
- **დასკვნა:** საარჩევნო პროცესი სტრუქტურული დარღვევებით გამოირჩეოდა, სადაც **ამ 2,429 დარღვევიდან 70% სისტემურ ხასიათს ატარებდა**. ***ეს მყარ საფუძველს გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ მთელი საარჩევნო სისტემა იყო ხარვეზიანი და ცენტრალური საარჩევნო კომისიის (ცესკო) წინასწარი შედეგები საერთოდ არ ასახავს ამომრჩეველთა ნებას.***
- ამ შემთხვევების უმეტესობა დაიხურა **გამოძიების** ან სათანადო პროცესის გარეშე, ხშირად უბრალო პასუხით, რომ „საჩივარი არ იქნა განსახილველად მიღებული“. რანდომულად შერჩეულ შემთხვევებში საჩივრები **ახსნა-განმარტების გარეშე** იყო უარყოფილი (~50%) ან **დასრულდა მხოლოდ დარღვევის ჩამდენის მიერ მოწოდებული ახსნა-განმარტების საფუძველზე** (~40%).
- პირველი ინსტანციის სასამართლოში წარდგენილი 144 შემთხვევიდან **მხოლოდ 8-ზე (~5%)** იქნა მიღებული დადებითი გადაწყვეტილება (აქედან 4 შემთხვევაში მომჩივანი იყო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე).
- **10 დასრულებული შემთხვევიდან, რომლებიც მეორე ინსტანციის სასამართლოს გადაეცა, არც ერთზე არ იქნა მიღებული დადებითი გადაწყვეტილება.**



ანალიზმა აჩვენა, რომ საშუალოდ საარჩევნო უბანზე დაფიქსირებული იყო 10 დარღვევა, მაგრამ გარკვეულ შემთხვევებში ეს მაჩვენებელი აღემატება 30-35 დარღვევას ერთ უბანზე.

თითოეული საჩივრის ანალიზის საფუძველზე, დარღვევა ჩაითვლება „სისტემურად**“, თუ ის უწყვეტად მეორდება არჩევნების მთელი დღის განმავლობაში და/ან გამოვლინდება ორ ან მეტ საარჩევნო უბანზე. დარღვევას ეწოდება „**ერთჯერადი**“, თუ ის მოხდა ერთხელ ერთ საარჩევნო უბანზე, ხოლო თუ დარღვევა მოხდა რამდენჯერმე ერთ საარჩევნო უბანზე, ის განიხილება როგორც „**მრავალჯერადი**“.*

წყარო: sachivrebi.cec.gov.ge; election claims analysis

სააპელაციო სასამართლოების გადაწყვეტილებები არჩევნების გაყალბების საქმეებზე

2024 წლის 7 ნოემბრის მდგომარეობით, **მიღებულია თბილისის და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოების** ორი გადაწყვეტილება - **ორივე გადაწყვეტილებით ხმის მიცემის საიდუმლოების დარღვევასთან დაკავშირებით აღძრული სარჩელები უარყოფილია.**

თბილისის სააპელაციო სასამართლო

- თბილისის სააპელაციო სასამართლომ თითქმის 24-საათიანი განხილვის შემდეგ **უარყო სარჩელი ხმის მიცემის საიდუმლოების მასობრივი დარღვევების შესახებ**. სარჩელი აღძრული იყო საია-ს მიერ, რომელიც ითხოვდა კენჭისყრის შედეგების გაუქმებას აღმოსავლეთ საქართველოს 1,293 უბანში, სადაც კენჭისყრა ჩატარდა ელექტრონული აპარატების მეშვეობით.
- მოსამართლე მიხეილ გვრიტიშვილმა (მოსამართლეთა კოლეგიის წევრმა), რომელიც ასევე მოიხსენიება როგორც „**მოსამართლეთა კლანის**“ წევრი, მოითხოვა ხმის მიცემის ექსპერიმენტის ჩატარება, რათა დადგინდეს, დაირღვა თუ არა კენჭისყრის ფარულობის პრინციპი. ჯერ ცენტრალური საარჩევნო კომისიის წარმომადგენელმა ჩაატარა ხმის მიცემის დემონსტრირება, მაგრამ ბიულეტენი ისე მოათავსა აპარატში, რომ შეუძლებელი იყო იმის დადგენა, ჰქონდა თუ არა ადგილი დარღვევას. ამის შემდეგ, ხმის მიცემის ექსპერიმენტში მონაწილეობა თავად მოსამართლე გვრიტიშვილმა მიიღო - **ბიულეტენის ფურცელზე მონიშნული არჩევანი ნათლად ჩანდა, რაც ადასტურებს, რომ დაირღვა კენჭისყრის ფარულობის პრინციპი**.
- **მიუხედავად იმისა, რომ არსებობს მთელი პროცესის ამსახველი ვიდეოჩანაწერები, რომლებიც ასევე გავიდა ტელევიზიით და ხელმისაწვდომია სხვადასხვა სოციალური მედიის მეშვებით,** სასამართლომ არ დააკმაყოფილა სარჩელი იმ მოტივით, რომ გაითვალისწინა ცესკო-ს წარმომადგენლის მიერ ჩატარებული ექსპერიმენტის შედეგი, რომლის დროსაც ვერ დადგინდა, დაირღვა თუ არა ხმის მიცემის საიდუმლოება.

სააპელაციო სასამართლოების გადაწყვეტილებები არჩევნების გაყალბების საქმეებზე

2024 წლის 7 ნოემბრის მდგომარეობით, **მიღებულია თბილისის და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოების** ორი გადაწყვეტილება - **ორივე გადაწყვეტილებით ხმის მიცემის საიდუმლოების დარღვევასთან დაკავშირებით აღძრული სარჩელები უარყოფილია.**

ქუთაისის სააპელაციო სასამართლო

- **ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ უარყო სარჩელი ხმის მიცემის საიდუმლოების დარღვევის შესახებ,** რომელიც აღძრული იყო „ჩემი ხმა“-ს (არასამთავრობო ორგანიზაციების კოალიცია) დამკვირვებლებისა და საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის (საია) მიერ. მოსარჩელეები ითხოვდნენ კენჭისყრის ყველა შედეგის ბათილად ცნობას დასავლეთ საქართველოს ყველა ოლქში, სადაც კენჭისყრა ელექტრონული აპარატების საშუალებით ტარდებოდა.
- საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს წარმომადგენელი ითხოვდა **მოსამართლე შოთა სირაძის** (სასამართლო კოლეგიის წევრის) **აცილებას** სასამართლო პროცესიდან, ასევე სასამართლო პროცესის წინა დღეს გამართული სხდომიდან, იმ მოტივით, რომ არსებობდა ეჭვი მის მიუკერძოებლობაში, ვინაიდან ეს მოსამართლე ამავდროულად იყო ხობის საკრებულოს დეპუტატი ქართული ოცნებიდან და ასევე შინაგან საქმეთა სამინისტროს **საპატრულო პოლიციის უფროსის ვაჟა სირაძის მამა**. **თუმცა, კოლეგიის სხვა წევრების მსჯელობის შედეგად ეს მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა**.

არჩევნების გაყალბებაში ხელისუფლების ყველა შტო მონაწილეობდა

ცვლილებები ცენტრალური საარჩევნო კომისიის დაკომპლექტების პროცედურაში

ცვლილებები ცენტრალური საარჩევნო კომისიის (ცესკო) დაკომპლექტების პროცედურაში შემოიღო პარლამენტმა, საარჩევნო ხმების გაყალბების გასამარტივებლად.

- ცესკო შედგება არა უმეტეს 17 წევრისგან (თავმჯდომარის ჩათვლით).
- შვიდ წევრს და თავმჯდომარეს ირჩევს პარლამენტი, ხოლო დანარჩენი ცხრა წევრი ინიშნება პოლიტიკური პარტიების მიერ.
- 2024 წლის გაზაფხულზე **პარლამენტმა შეიტანა ცვლილება კანონმდებლობაში, რომლითაც შეიცვალა ცესკო-ს დაკომპლექტების პროცედურა**.
- კერძოდ, 2024 წლის 20 თებერვალს საქართველოს პარლამენტის მოქმედი რეგლამენტის 211^1-ე მუხლში შევიდა ცვლილება, რომელიც **მმართველ პარტიას აძლევდა შესაძლებლობას**, **საჭირო 3/5 ხმების უმრავლესობის მიუღწევლობის შემთხვევაში** 76 ხმით აერჩია ცესკო-ს თავმჯდომარე და 7 წევრი.
- პარლამენტმა 85 ხმით აირჩია ცესკო-ს თავმჯდომარედ გიორგი კალანდარიშვილი, რაც ხმების 3/5-ზე ნაკლებია. ის ამ თანამდებობას ხუთი წლის განმავლობაში დაიკავებს.

არჩევნების გაყალბება ხელისუფლების ყველა შტოს ერთობლივი ძალისხმევით იმართებოდა

პარლამენტი

მიიღო საკანონმდებლო ცვლილებები, რამაც შესაძლებელი გახადა არჩევნების გაყალბება

საქართველოს ეროვნული ბანკი

გაიყიდა სავალუტო რეზერვები, რათა ხელოვნურად დასტაბილურებულიყო ლარის გაცვლითი კურსი. 2024 წლის ოქტომბერში სებ-მა გაყიდა უცხოური ვალუტის რეზერვების რეკორდულად დიდი ოდენობა - 630 მილიონი აშშ დოლარი – უფრო მეტი, ვიდრე რომელიმე სხვა თვეს საქართველოს ისტორიაში, მეტი ვიდრე COVID-19 პანდემიისა და 2008 წლის საქართველოში რუსეთის შემოჭრის დროს.

ცესკო

- **ხმის მიცემის აპარატურა შეძენილი იყო თითის ანაბეჭდის ამოცნობისა და ბიომეტრიული იდენტიფიკაციის ფუნქციის გარეშე, ამომრჩეველთა ვერიფიცირებისთვის სპრეის მეშვეობით მარკირების მოძველებული მეთოდის შენარჩუნებით.**

- **გარდა ამისა, „ქართული ოცნების“ დამკვირვებლები დაინიშნენ საარჩევნო უბნებზე ამომრჩეველთა იდენტიფიკაციისა და გადამოწმების პროცესის ზედამხედველობისა და ამ პროცესით მანიპულირების მიზნით. ეს შესაძლებელი გახდა იმ დადგენილების მიღებით, რომლითაც საარჩევნო კომისიის წევრებს შორის ფუნქციების გადანაწილება არჩევნების თარიღამდე 7 დღით ადრე ხდებოდა და არა იმავე დღეს.**

ცენტრალური მთავრობა

- იუსტიციის სამინისტრო: გაუზიარა მმართველ პარტიას სარეგისტრაციო მონაცემთა ბაზებში არსებული პირადი ნომრები, რაც კარუსელის ოპერაციებსა და ხმებით მანიპულირებას ისახავდა მიზნად.
- ჯანდაცვის სამინისტრო: მიაწოდა სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურს მონაცემები სოციალურად დაუცველი პირების შესახებ, რაც მიზნად ისახავდა ამომრჩევლების იდენტიფიცირებასა და მათზე ზემოქმედების მოხდენას. სამინისტრომ გადამწყვეტი როლი ითამაშა იმით, რომ მიზანში ამოიღო საზოგადოების ყველაზე დაუცველი წევრები. გავრცელებული ინფორმაციით, მათ ემუქრებოდნენ სოციალური დახმარების გაუქმებით იმ შემთხვევაში, თუ ისინი ხმას ოპოზიციურ პარტიებს მისცემდნენ.
- განათლების სამინისტრო: მითითებებს აძლევდა სკოლებისა და საბავშვო ბაღების ადმინისტრაციებსა და მასწავლებლებს, მონაწილეობა მიეღოთ საარჩევნო კარუსელებში და საკუთარი პოზიცია პროპაგანდის მიზნებისთვის გამოეყენებინათ. გარდა ამისა, სკოლებში გახსნილი იყო ქართული ოცნების „ქოლ ცენტრები“.
- შინაგან საქმეთა სამინისტრო (მათ შორის სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური და საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი): უზრუნველყოფდა საინფორმაციო ტექნოლოგიური, ლოგისტიკურ და სააღსრულებო მხარდაჭერას მმართველი პარტიის სასარგებლოდ, აღნიშნული ოპერაციებისთვის იყენებდა „ქოლ ცენტრებს“.

სასამართლო

სასამართლოებმა მიიღეს დაუსაბუთებელი გადაწყვეტილებები არჩევნების გაყალბებასთან დაკავშირებით. ამ გადაწყვეტილებებს ახასიათებს მიკერძოებულობის მაღალი ხარისხი და მიმართულია მმართველი პარტიის ინტერესების დასაცავად.

ადგილობრივი ხელისუფლება

აიძულებდა მოქალაქეებს, ხმა მიეცათ მმართველი პარტიისთვის, რისთვისაც იყენებდა მოსყიდვისა და დაშინების მეთოდებს.

რუსეთის ჩარევა არჩევნებში

რუსეთის შესაძლო ჩარევა არჩევნებში

- **ბლუმბერგის სტატიაში** *„როგორ დაჰაკეს რუსეთის ჯაშუშებმა მთელი საქართველო“*, ნათქვამია, რომ **რუსი ჯაშუშები წლების განმავლობაში აკვირდებოდნენ საქართველოს სამთავრობო სტრუქტურებსა და მსხვილ კომპანიებს**, აგროვებდნენ მონაცემებს კრიტიკული ინფრასტრუქტურის პოტენციური დივერსიისთვის. ჰაკერული კამპანია, რომელიც 2017 წლიდან 2020 წლამდე მიმდინარეობდა, მიმართული იყო სხვადასხვა საკვანძო სუბიექტებზე, მათ შორის საგარეო საქმეთა სამინისტროზე, ფინანსთა სამინისტროზე, ეროვნულ ბანკზე და მნიშვნელოვან ენერგეტიკისა და სატელეკომუნიკაციო პროვაიდერებზე. გარდა ამისა, ბლუმბერგისა და ევროპელი ოფიციალური პირების მიერ მოპოვებული დოკუმენტები ცხადყოფს, რომ **ჰაკერებმა გატეხეს საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის წევრების ელ. ფოსტა** და სავარაუდოდ, ნაწილობრივი წვდომა მიიღეს მთელ სისტემაზე.

  წყარო: Bloomberg

- **„რუსული დაზვერვა გეგმავს შაბათს საქართველოს არჩევნებში ჩარევას და შემდეგ საქართველოს პრორუსული მმართველი პარტიის გამოყენებით ქვეყნის კრემლის გავლენის ქვეშ დაბრუნებას“** - განაცხადა Bellingcat-ის გამომძიებელმა ჟურნალისტმა ქრისტო გროზევმა ლიტვურ საინფორმაციო გამოცემა Delfi-სთან 26 ოქტომბრამდე გამართულ ინტერვიუში.

  წყარო: Delfi

- სანქტ-პეტერბურგის მედია მენეჯერი და უკრაინის ოკუპირებულ ტერიტორიებზე **რუსული პროპაგანდისტული ქსელის დამფუძნებელი ალექსანდრე მალკევიჩი არჩევნების** დროს რამდენიმე დღის განმავლობაში თბილისში იმყოფებოდა. მეტიც, **ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ (ცესკო)** მას აკრედიტაცია მიანიჭა არჩევნების გასაშუქებლად. აღსანიშნავია, რომ **მალკევიჩს სანქციები დაუწესა** რამდენიმე ქვეყანამ, მათ შორის აშშ-მ და უკრაინამ, აშშ-ის არჩევნებში ჩარევის, უკანონო საქმიანობისა და ოკუპირებულ უკრაინაში აქტიური რუსული პროპაგანდის გამო; ის ასევე იყო ცნობილი ვაგნერის დაჯგუფების უფროსის, ევგენი პრიგოჟინის გარემოცვის წევრი. **ცესკო-ში აცხადებენ, რომ აკრედიტაცია გაიცა საარჩევნო კანონმდებლობის შესაბამისად და ზოგადად, ცესკოს არა აქვს წვდომა პირთა სამართლებრივ სტატუსებზე**.

  წყარო: Reporters Without Borders; მედიასაშუალება Civil.ge და Radio Tavisupleba.

- TASS-ის (რუსული მედიასაშუალება) ცნობით, 3 ოქტომბერს, **რუსეთის საგარეო დაზვერვის სამსახურის დირექტორმა სერგეი ნარიშკინმა** გამოთქვა რწმენა, რომ **საქართველოს მოქალაქეები** 26 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებზე **„სწორ არჩევანს“ გააკეთებენ**, მიუხედავად **„დასავლეთის მცდელობებისა“ „ჩაერიოს“ ქვეყნის საშინაო საქმეებში.** აღსანიშნავია, რომ ნარიშკინის განცხადებას საქართველოს ხელისუფლების მხრიდან არანაირი რეაგირება არ მოჰყოლია.

  წყარო: TASS

- არჩევნებამდე რამდენიმე კვირით ადრე საქართველოში ჩამოვიდა **ოთარ ფარცხალაძე,** რომელიც სანქცირებულია აშშ-ის მიერ საქართველოში რუსეთის სასარგებლოდ აგენტურული ქსელის შექმნისა და პოლიტიკურ და საზოგადოებრივ აზრზე გავლენის მოხდენის გამო

სტრატეგიული პარტნიორების რეაქციები

ძირითადი მიგნებების შეჯამება

- საქართველოს სტრატეგიულმა პარტნიორებმა გამოხატეს **შეშფოთება** 2024 წლის საპარლამენტო არჩევნებზე გამოვლენილი დარღვევების გამო; ეს უკანასკნელი არ შეფასდა, როგორც **„თავისუფალი და სამართლიანი".**

- **ხაზი გაესვა იმას, რომ დარღვევებს ადგილი ჰქონდა არა მხოლოდ არჩევნების დღეს** (26 ოქტომბერს), **არამედ არჩევნებამდეც, რაც ქმნიდა პოლარიზებულ გარემოს. საარჩევნო კანონდებლობის ცვლილებამ** გააჩინა არჩევნების გაყალბების შესაძლებლობა.

- არჩევნების დროს განვითარებული მოვლენები **აშშ-ს პრეზიდენტმა** შეაფასა **დემოკრატიისკენ მოძრაობის გზაზე უკან გადადგმულ ნაბიჯად.**

- დეზინფორმაციული ნარატივები, ადმინისტრაციული რესურსების ხშირი ბოროტად გამოყენება, მრავალრიცხოვანი და სისტემური დარღვევები, მათ შორის ხმის **მიცემის ფარულობის ხშირი დარღვევა, დაშინება, ამომრჩეველზე ზეწოლა** და ა.შ. **ვერ უზრუნველყოფდა „თავისუფალი და სამართლიანი" არჩევნების ჩატარებას.**

- **საქართველოს პარტნიორები ავრცელებენ მოწოდებებს არჩევნებთან დაკავშირებული ყველა გადაცდომისა და დარღვევის გამჭვირვალე გამოძიების შესახებ.**

სტრატეგიული პარტნიორების რეაქციები

აშშ-ის პრეზიდენტ ჯო ბაიდენის განცხადება

29 ოქტომბერს აშშ-ის პრეზიდენტმა ჯო ბაიდენმა საქართველოს 2024 წლის საპარლამენტო არჩევნების შესახებ განცხადება გააკეთა და საქართველოში მიმდინარე ბოლო მოვლენებს **დემოკრატიული უკუსვლა** უწოდა; მან ახსენა რამდენიმე ფაქტორი:

- **„კანონმდებლობა, რომელიც რუსულ კანონებს იმეორებს**, ზღუდავს ფუნდამენტურ თავისუფლებებს და ავიწროებს სივრცეს დამოუკიდებელი სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისთვის.“
- საპარლამენტო არჩევნები დაზიანდა ადმინისტრაციული რესურსის ბოროტად გამოყენების მრავალი დაფიქსირებული ფაქტითა და **ამომრჩეველთა დაშინებითა და იძულებით**.
- აშშ-ის პრეზიდენტმა ახსენა, რომ “**დამოუკიდებელ საერთაშორისო და ადგილობრივ დამკვირვებლებს არ უთქვამთ, რომ არჩევნები იყო თაავისუფალი და სამართლიანი“** და მოუწოდა საქართველოს მთავრობას, რომ **„გამჭვირვალედ გამოიძიოს ყველა საარჩევნო დარღვევა**,“ უკან გაიწვიოს კანონები, როგორიცაა „უცხოური გავლენის კანონი“ და დაიწყოს მყისიერი, ინკლუზიური დიალოგი საქართველოს ყველა პოლიტიკურ ძალასთან არჩევნებთან დაკავშირებით სიმრთელის/სანდოობის აღსადგენად.

Source: The White House; 29.10.2024

სტრატეგიული პარტნიორების რეაქციები

ევროკომისია

ევროკომისიის ანგარიში (30 ოქტომბერი, 2024), რომელიც აფასებს რეკომენდირებული ცხრა პუნქტის განხორციელებას, ასახავს ევროკავშირის რეკომენდაციების შესრულებასთან დაკავშირებულ რიგ საკითხებსა და პრობლემებს, მათ შორის რეკომენდაციას თავისუფალი, სამართლიანი და კონკურენტული საარჩევნო პროცესის უზრუნველყოფის შესახებ (პუნქტი 4). საარჩევნო პროცესის შეფასება, სხვა მრავალთა შორის, მოიცავს შემდეგ საკითხებს:

- **პოლიტიკური პოლარიზაციის გაღრმავება,** განსაკუთრებით 2024 წლის საპარლამენტო არჩევნების წინ;
- **„გრძელდებოდა საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერთა მხრიდან ოპოზიციის წევრებისა და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენელთა მიმართ მუქარები.“**
- **„საარჩევნო კოდექსში შესული შესწორებები, რომლებიც უგულებელჰყოფდა ვენეციის კომისიისა და ეუთო/ოდირის ხანგრძლივ რეკომენდაციებს.“**
- **„დეზინფორმაციული ნარატივები ვრცელდებოდა და მხარდაჭერილი იყო მათ შორის მმართველი პარტიის თანამდებობის პირთა და მთავრობასთან ასოცირებული მედიის მიერ.“**
- **“ხმის მიცემის ფარულობის ხშირი დარღვევა**, პროცედურული არათანმიმდევრულობები.”
- **“ამომრჩეველთა დაშინება და მათზე ზეწოლა,** რამაც უარყოფითი გავლენა იქონია საარჩევნო პროცესის მიმართ მოსახლეობის ნდობაზე.“

Source: EU Delegation to Georgia; 05.11.2024

სტრატეგიული პარტნიორების რეაქციები

30 ევროპელი პოლიტიკოსი, მათ შორის ევროპარლამენტისა და 19 ნაციონალური პარლამენტის წევრები, არჩევნების სავარაუდო გაყალბებასთან დაკავშირებით საერთაშორისო გამოძიებას ითხოვენ

- 6 ნოემბერს „საქართველოს მეგობრების“ სახელით ცნობილმა ევროპის ქვეყნებმა გააკეთეს ერთობლივი განცხადება, სადაც **მოითხოვეს საქართველოში არჩევნების სავარაუდო დარღვევების საერთაშორისო გამოძიება** და **სანქციების** დაწესება ბიძინა ივანიშვილისა და სხვა საჯარო პირების წინააღმდეგ, რომლებიც პასუხს აგებენ ქვეყნის დემოკრატიული უკუსვლისთვის.
- ხელმომწერებმა შეშფოთება გამოთქვეს „**საერთაშორისო დამკვირვებლების მიერ დაფიქსირებული ინციდენტებისა და სისტემური დარღვევების უპრეცედენტო რაოდენობის გამო**“, ასევე „**ქვეყნის ბოლოდროინდელი დემოკრატიული უკუსვლის გამო**, რაც მოიცავს ანტიევროპული კანონმდებლობის ამოქმედებას, რომელიც ზღუდავს ადამიანის უფლებებსა და სივრცეს დამოუკიდებელი სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციებისთვის.“
- ხელმომწერები ითხოვენ, რომ საქართველოს ხელისუფლებამ **უზრუნველყოს** „საარჩევნო მანიპულაციების (მათ შორის არჩევნებამდე პერიოდში) **გამჭვირვალე გამოძიება,** განსაკუთრებით ამომრჩევლების დაშინებასთან და მოსყიდვასთან დაკავშირებით”.

წყარო: Joint Statement; 06.11.2024

ვეიმარის სამკუთხედის ლიდერების ერთობლივი განცხადება საქართველოში შექმნილი მდგომარეობის შესახებ

- 7 ნოემბრის ერთობლივ განცხადებაში საფრანგეთის პრეზიდენტმა ემანუელ მაკრონმა, გერმანიის კანცლერმა ოლაფ შოლცმა და პოლონეთის პრემიერ მინისტრმა დონალდ ტუსკმა შეშფოთება გამოთქვეს საქართველოში შექმნილი პოლიტიკური სიტუაციის გამო.
- როგორც ერთობლივ განცხადებაშია ნათქვამი, სამი ქვეყნის ლიდერებმა, არჩევნების საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიის მიერ გამოქვეყნებული წინასწარი შედეგების საფუძველზე, **„ძლიერი შეშფოთება“ გამოთქვეს საქართველოს საპარლამენტო არჩევნებთან დაკავშირებით**.
- ისინი ითხოვენ **წარმოდგენილი საჩივრების გამჭვირვალედ გამოიძიებას**: „ჩვენ მოვითხოვთ სწრაფ და გამჭვირვალე გამოძიებას, რომელიც შეისწავლის ყველა საჩივარს და ნათელს მოჰფენს დაფიქსირებულ დარღვევებს. ჩვენ ყურადღებით განვიხილავთ არჩევნების საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიის საბოლოო ანგარიშს, რომელიც დადგენილ ვადაში უნდა იყოს წარმოდგენილი.“

Source: Statement; 07.11.2024

სტრატეგიული პარტნიორების რეაქციები

ჰელსინკის კომისიის თავმჯდომარის კონგრესმენ ჯო უილსონის განცხადება

„მე შეშფოთებული ვარ სარწმუნო ბრალდებების გამო, რომ საქართველოს საპარლამენტო არჩევნებში ადგილი ჰქონდა სისტემურ დარღვევებს. მე ასევე მაშფოთებს რუსეთის კარგად დოკუმენტირებული მცდელობები, ხელი შეუშალოს ამ არჩევნებს“. ბატონმა ჯო უილსონმა მოუწოდა სახელმწიფო დეპარტამენტს გამოიძიოს ბრალდებები საქართველოს არჩევნების გაყალბების შესახებ.

წყარო: US Helsinki Commission; 27.11.2024

ევროსაბჭოს პრეზიდენტი შარლ მიშელი

„ჩატარებულ არჩევნებთან დაკავშირებით **არსებობს გაყალბების სერიოზული ეჭვი, რომელიც გამოძიებას მოითხოვს**. ჩვენ გვჭირდება სიცხადე ამ პროცესთან დაკავშირებით, რათა დავრწმუნდეთ, რომ ყველაფერი ჩატარდა სამართლიანად და გამჭვირვალედ.“

წყარო: BMG media; 08.11.2024

არჩევნების შედეგები მხოლოდ რამდენიმე ქვეყანამ აღიარა, როგორებიცაა - ირანი, ჩინეთი, ვენესუელა, ნიკარაგუა, უნგრეთი, ასევე აზერბაიჯანი, სომხეთი და თურქეთი

საერთაშორისო გამოძიება

საქართველოს 2024 წლის არჩევნების საერთაშორისო გამოძიება

არჩევნების საერთაშორისო გამოძიება შეიძლება წარმართოს შემდეგმა ორგანიზაციებმა:

- **ევროკავშირი (EU):** ვინაიდან „თავისუფალი და სამართლიანი არჩევნები“ იყო საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანების ერთ-ერთი მთავარი წინაპირობა (9 ძირითადი შეუსრულებელი პუნქტიდან მე-4*), **ევროკავშირს შეუძლია გამოძიების დაწყება იმის დასადგენად, იყო თუ არა საარჩევნო პროცესი „თავისუფალი და სამართლიანი“,** რათა დაადასტუროს ან უარყოს ხელისუფლების პრეტენზია ამასთან დაკავშირებით. როგორც საერთაშორისო, ისე ადგილობრივი დამკვირვებლების ანგარიშების მიხედვით, თავისუფალი და სამართლიანი საარჩევნო პროცესი არ იყო უზრუნველყოფილი და არც ერთი სადამკვირვებლო ანგარიში არ აფასებს 24 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებს როგორც თავისუფალს და სამართლიანს.
- **ერთობლივად US-EU: გამოძიება, რომლმაც უნდა დაადგინოს, იყო თუ არა საქართველოს არჩევნები თავისუფალი და სამართლიანი,** რათა მიღებულ იქნას გადაწყვეტილება საქართველოსთვის დონორული და საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების პროგრამების აღდგენის ან შეჩერების შესახებ (EBRD, WB, EIB, KfW,, USAID, SIDA და სხვა).
- **ერთობლივად US-EU: საქართველოში არჩევნების გაყალბებისა და რუსული გავლენის გაზრდის მიზნით არჩევნებში რუსეთის შესაძლო ჩარევის გამოძიება.** შედეგმა შეიძლება გავლენა იქონიოს არა მხოლოდ საქართველოს, არამედ ბევრი სხვა განვითარებადი თუ განვითარებული ქვეყნების მომავალზე.
- **გამოძიების ფედერალური ბიურო (FBI): ამერიკული კომპანია Smartmatic-ის გამოძიება საზღვარგარეთ კორუფციათან ბრძოლის აქტის საფუძველზე** იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოში უკანონოდ ხმის მიცემის მრავალი მტკიცებულება არსებობს, რაც მიუთითებს საარჩევნო პროცესის ხარვეზებზე და Smartmatic-ის მიერ წარმოებული ხმის მიცემის აპარატების შესაძლო არამართლზომიერი მიზნებით გამოყენებაზე. ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ შეუკვეთა ხმის მიცემის აპარატები ისეთი სპეციფიკაციებით, როგორიცაა USB მოდულების დამატება, სახის ან თითის ანაბეჭდების ამოცნობის მოდულების ამოღება, მიუხედავად იმისა, რომ ამ აპარატებს აქვთ ასეთი ფუნქციები. ცესკო-ს ეს სპეციფიკური მოთხოვნები მინიშნება უნდა ყოფილიყო აპარატების მწარმოებელი კომპანიისთვის, რომ მათი აპარატები შეიძლება არჩევნების გაყალბებისთვის ყოფილიყო გამოყენებული.
- **OSCE/ODIHR:** ეუთო/ოდირმა მოითხოვოს ცენტრალური საარჩევნო კომისიიდან **სიების გახსნა** და რენდომად გადაამოწმოს 1-2%, რათა დაადგინოს **ნამდვილად მისცეს თუ არა ამ მოქალაქეებმა არჩევნებზე ხმა**

**პუნქტი 4: თავისუფალი, სამართლიანი და კონკურენტული საარჩევნო პროცესის უზრუნველყოფა, განსაკუთრებით 2024 წელს და ეუთო/ოდირის რეკომენდაციების სრულად გათვალისწინება. არჩევნების დღემდე გაცილებით ადრე საარჩევნო რეფორმების დასრულება, მათ შორის ამომრჩევლის ადეკვატური წარმომადგენლობის უზრუნველყოფა*

.

კითხვები?